ილია მოსაშვილი

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა
თბილისი

1950

სადგურის უფროსი

დრამა 4 მოქმედებად, 8 სურათად

მოქმედნი პირნი

ლევან ჩადუნელი—რკინიგზის სადგურის უფროსი, ხნიერი კაცი
მარინე—მისი ქალიშვილი, 18 წლის
ბორის ვოლკოვი—დაჭრილი ლეიტენანტი, მარინეს საქმრო
კუზმიჩი—ბორისის მამა, გზის დარაჯი, მოხუცი
პელაგია—კუზმიჩის ცოლი
ხერგეი პეტროვიჩი—რაიკომის მდივანი
ირსენ ლეონავა—სადგურის ბუფეტის გამგე, შუახნისა
არჩილ მენაბდე—ნოსკოველი სტუდენტი
ასლან ბეკოევი—ოსი მწყემსი, უშველებელი ტანისა
პავლიკა—ახალგაზრდა კაზაკი, მწყემსი
მაქსიმე—ტყეში გახიზნულთა მეთაური
ბრმა მეფანდურე—ღრმა მოხუცი
შკურატი—გზის მუშა, პარტიზანი
ლიზა—ახალგაზრდა გლეხის ქალი
შურაევი—ყველგან ნათრევი კაცი
ვალტერ ტრაუბე—გერმანელი მაიორი
კრანცი—გერმანელი ოფიცერი
კუნცი, **მაკურეკი** — ეფრეიტორები
გერმანელი ჯარისკაცები
მგზავრები, გლეხი ქალები, გზის მუშები

მოქმედება სწარმოებს ჩრდილო-კავკასიაში 1942 წ.

მოქმედება პირველი

პირველი სურათი

რკინიგზის სადგური. მარცხნივ სადგურის გრძელი ღერეფანი, საათი, ზარი. შუაბანდიანი ბუფეტი. წინ—მწვანე გაზონები. სადგურის შენობის მეორე კედელი მაცქერალთა დარბაზისაკენ არის მიმართული. მას ერთი კარი აქვს, ერთი ფრნჯარა და ერთიც სამ-ოთხ საფეხურიანი კიბე, რომელიც ეზოში ჩადის. აქ სადგურის უფროსი ცხოვრობს. სადგურის ღერეფანს და უფროსის ბინას დაბალი, მოაჯირიანი აივანი აერთებს. კიბის შორიახლოს ქა, მაღალი ორთაუვირით. მარჯვენა მხარეს ტოტებგაშლილი, ასწლოვანი მუხა. სცენას თავქვე დაქანებული ლიანდაგი სჭრის. იგი მარჯვენა კუთხიდან მაღალ ხიდზე გადმოდის, ერთბაშად მარცხნივ უხვევს და სადგურის წინ ეშვება. ხიდს ქვეშ გზატკეცილი გადის. ლიანდაგს მეორე მხრიდან პატარა სტანიცა ეკვრის. შორს, სილრმეში, ცამდე აწვდილი, ჩამოთოვლილი მთები მოსჩანს.

სადგურში მგზავრები ირევიან სავსე ტომრებით, ჩემოდნებით, კალათებით. ზოგი მატარებლის მოლოდინში ღერეფნის ძირას მიწოლილა, ზოგი ბუფეტის წინ ფეხდაფეხ ნაურდება, ზოგნიც ლიანდაგს გასცქერიან მოუსვენრად, ეტყობა, მატარებელს ელიან. გზატკეცილზე გულანაბადმოკიდებულნი, დატვირთული ურიკებით მიდიან ქალები, მოზარდები, მოხუცები. მიდიან თავჩაკიდულნი, ხმაამოუღებლად! თითქოს ქვეყნის გაღასახლება დაწყებულა. მზის ჩასვლის ჟამია. შორიდან დროგამოშვებით ურუ საარტილერიო სროლა ისმის.

ბუფეტის პირდაპირ ჩამომჯდარი ბრმა მეფანდურე მრავალსიმიან ფანდურზე მღერის... ეს სიმღერა კი არ არის—მოთქმაა სიბნელის შიშით შეპყრობილი ადამიანისა... ხანაც ღრმადმორწმუნე კაცის ლოცვას გვაგონებს.

მ ე ფ ა ნ დ ურ ე:—ბრმა ვარ და შენს ნათელს, მზეო,
თვალდაშრეტილიც ვხედავ.
მარად გვიძღოდე ქვეყნად,
მზეო, სინათლის დედავ!
ეს რა ღრუბელი მოსჩანს,
რა წარღვნა მოდის ნეტავ!

ბნელეთისაგან გვიხსენ.
მზეო, სინათლის დედავ!
ცაში არწივებს ვთვლიდი,
ახლა ყორნები სხედან...
ბრმა ვარ და უსინათლო,
ბნელეთის მოსვლას ვხედავ...
მზეო, იხსენი ხალხი,
მზეო, სინათლის დედავ!..

ა რ ს ე ნ ა—(მას თვალმოუშორებლად უსმენდა, ეტყობოდა, მოსწონდა კიდეც, გულსაც უკლავდა ეს ნაღვლიანი სიმღერა... ბუფეტიდან სწრაფად გამოვიდა, მოხუცთან მივიდა და სავსე ჭიქა თითებში ჩაუდო) ბაბუა პანტელეი, არაყი დალიე და ასე მწარეს ნუღარ იმღერებ, თუ ღმერთი გწამს.

მ ე ფ ა ნ დ ო ს ე—მწარე ტკივილს მწარე წამალი უხდება, შვილო!.. იცოცხლე!.. (დალია, არსენა ბუფეტში შევიდა.)

პ ი რ ვ ე ლ ი მ გ ზ ა ვ რ ი—(ბარგზე ჩამომსხდარნი საუბრობენ) ტყუილად ვუცდით, მოსასვლელი აქამდე მოვიდოდა...

მ ე ო რ ე მ გ ზ ა ვ რ ი—მაშ, ამდენი ბარგი წყალში გადავყაროთ?

პ ი რ ვ ე ლ ი მ გ ზ ა ვ რ ი—შენ საკუთარი ტყავიც აქ არ დასტოვო, თორემ... ბარგი, ეტყობა, მართლაც ეშმაკის ლუკმა გახდება... დილას წასულებს რომ გავყოლოდით, ახლა, აგერ, იმ უღელტეხილს იქით ვიქნებოდით.

მ ე ო რ ე მ გ ზ ა ვ რ ი—(სროლა გახშირდა, მკაფიოდ მოისმა) შენ, ალბათ, ახალი რაღაც შეგიტყვია... თუ ასეა, წავიდეთ... რაღა ჯანდაბას ვუცდით!.. (წამოდგა)

პ ი რ ვ ე ლ ი მ გ ზ ა ვ რ ი—ცოტაც კიდევ... იქნებ ბედმა მატარებელი გამოგვიგზავნოს.

მ ე ო რ ე მ გ ზ ა ვ რ ი—ბედმა? (ცაში თვითმფრინავის გაბმული ზუზუნი) მატარებლისა რა მოგახსენო და,—გესმის?.. ადექი, ადექი, შიგნით შევიდეთ, სიფრთხილეს თავი არა სტკივა...

ქ უ რ ქ ი ა ნ ი მ გ ზ ა ვ რ ი—(ბუფეტს მიადგა) თუ ძმა ხარ, ერთი ჭიქა პილატეს ცრემლი გექნება!

ა რ ს ე ნ ა—საიდან, ამხანაგო მოქალაქე! ერთი კვირაა მატარებელი არ მოსულა,—არაყს აქ ვინ მომიტანდა?!

ქ უ რ ქ ი ა ნ ი მ გ ზ ა ვ რ ი—ფულის საქმე არ არის? ერთი ჭიქა... რამდენიც გინდა, აიღე! (უბიდან ფულის დასტა ამოიღო)

ა რ ს ე ნ ა—(ერთბაშად შეიცვალა) მგონი, მართლაც ერთი ჭიქა ნამდვილად უნდა მქონდეს შემონახული, მუცლის ტკივილი ვიცი—მოგეხსენებათ, მისწრებაა... (დაფაცურდა, დახლს ქვემოდან სავსე ჭიქა ამოაძვრინა)

ქ უ რ ქ ი ა ნ ი მ გ ზ ა ვ რ ი—შენი მუცლის ტკივილი აი, ეს არის... (მგზავრმა არაყი გადაჰკრა, ფული დახლზე დაუდო)

ა რ ს ე ნ ა—მოიცა, მოქალაქე, ხურდა გერგება!

ქ უ რ ქ ი ა ნ ი მ გ ზ ა ვ რ ი—რა დროს ხურდაა, თავი გამანებე...

ა რ ს ე ნ ა—წაიღე, ძმაო, (ხურდა ჯიბეში ჩაუდო) წაიღე, განა ქვეყანა მართლა იღუპება?!

შ უ რ ა ე ვ ი—(კრაველის ქუდით, გვერდზე ნაბადმოგდებული, ბუფეტთან შეჯგუფებულ მგზავრებში გაერია. ქურქიან მგზავრს რაღაც ჰკითხა, განზე გაიხმო, ჩურჩულით უთხრა) ნამდვილია, წუხელის მომხდარა!.. (ბუფეტს მიადგა) თუ ძმა ხარ, ამ გამწარებულ გულზე ერთი მწარე ჩამაცეცხლე!

ა რ ს ე ნ ა—რამდენი გამწარებული კაცი დღეს აქ ჩაივლის, იმდენი ჭიქა არაყი მე კი არა, რუსის ხელმწიფეს არ გამოუხდია!

შ უ რ ა ე ვ ი—შენ ხუმრობის გუნებაზე ხარ, ჩემს გულში კი თონე ანთია, ძმაო, თონე!..

ა რ ს ე ნ ა—რა იყო, ბატონო, ამისთანა მოუნელებელი!

შ უ რ ა ე ვ ი— მეტი რაღა იქნება, ცოლ-შვილი კავკავში ჩამრჩა!

ა რ ს ე ნ ა—ნეტაი, შენი კარგა ყოფნით, ჩვენც იქ ვიყოთ ახლა...

შ უ რ ა ე ვ ი—კარგი დახლიც დაგიდგებოდა!.. შენ ჭურში ხომ არა ზიხარ, ძმობილო?

ა რ ს ე ნ ა—ვითომ რადაო?

შ უ რ ა ე ვ ი—(ნახევრად ჩურჩულით) აიღეს!

ა რ ს ე ნ ა—კავკავი?! რაფერ? საიდან! აქედან ას კილომეტრზე მეტი იქნება!

შ უ რ ა ე ვ ი—ასი კი არა, ათასი და ორი ათასიც გამოიარეს, განა ურმებით მოდიან!.. თუ ძმა ხარ, დაასხი, გულზე ცეცხლი მეკიდება.

ა რ ს ე ნ ა—(წარბი შეიკრა, მგზავრი ცერად აათვალიერა) რაც არა მაქვს, რა დაგისხა?

შ უ რ ა ე ვ ი—ფულის საქმე არ არის? აიღე, რამდენიც გინდა...

ა რ ს ე ნ ა—არა მაქვს-მეთქი, ამხანაგო მოქალაქე!..

შ უ რ ა ე ვ ი—არც ღვინო გაქვს?

ა რ ს ე ნ ა—არც ღვინო მაქვს!

შ უ რ ა ე ვ ი—ასე მეტყოდი, შე კაი კაცო, ამდენს რაღას მალაპარაკებდი! გულზე ცეცხლი მეკიდება... (ხალხს შეერია)

ა რ ს ე ნ ა—რავარც შენ გამახარე, მეც ისეთი პატივი გეცი... (დაფიქრდა) თუმცა... ღმერთო შეგცოდე და... ჩორთიოზნაი, ყველაფერი შეიძლება...

ა რ ჩ ი ლ ი—(ხელში პატარა ჩემოდნით, საუელო-აწეული, აბუზული, ბუფეტს მიადგა) ბოდიში, თვალი თუ არ მატყუებს, ქართველსა ჰგევხართ!

ა რ ს ე ნ ა—(ულვაშებზე ხელი გადაისვა) ვგავარ—რავა გეკადრებათ, ბატონო!.. პირდაპირ დაბეჭდილი ქართველი, ქუთაისიდან—არსენ ლეჟავა გახლავარ!.. თქვენ თვითონ საიდან?

ა რ ჩ ი ლ ი—მოსკოვიდან, ერთი თვეა მოვდივარ... ვერ იქნა, ველარ ჩავაღწიე საქართველოში...

ა რ ს ე ნ ა—იქ მსახურობთ, ბატონო?

ა რ ჩ ი ლ ი—არა, სტუდენტი ვარ!

ა რ ს ე ნ ა—თქვენი სახელი მაჩუქეთ!

ა რ ჩ ი ლ ი—არჩილი გახლავართ!

ა რ ს ე ნ ა—არჩილ ბატონო, ნუ მიწყენ და,—ერთი ჭიქა არაყი!.. გეტყობა, ცოტა შეცივებული ხარ! (ჭიქა აუვსო და მიაწოდა)

ა რ ჩ ი ლ ი—სიმწარე გაშოროს, სიტკბო მოგცეს, (გადაჭერა)

ა რ ს ე ნ ა—იცოცხლე, ბარა... (შორი აფეთქების ხმა) ამისთანა სიტკბო ჩემს მტერს მიეცა... ჩვენი საქმე მაინც და მაინც... მაგრამ, ეჰ, რაც მოხდება—მოხდეს!.. (არჩილმა

ფული ამოიღო) აჰ! არ მოგიკვდეს არსენა!.. სტუდენტის ფული ჯიბეში ცეცხლს გამიჩენს, ძალიან მეწყინება! (ძლიერი აფეთქების ხმა ზეციზედ. მგზავრები შეკრთნენ, მძინარენი წამოიშალნენ) არჩილ ბატონო! ჩემოდანი მომაწოდეთ, შინ შემობრძანდით... ხალხნი ვართ... (არჩილი შევიდა)

მ ა რ ი ნ ე—(აივანზე გამოვიდა, ცას დაეცქერდა, მკლავშეხვეული ბორისი გამოჰყვა) შენ ფრონტზე გეჩქარებოდა გამგზავრება, ხედავ? ფრონტი თვითონ მოვიდა ჩვენთან!..

ბ ო რ ი ს ი—როგორც მოვიდა, ისე წავა...

მ ა რ ი ნ ე—არ ვიცი, მამაც სულ ამას მეუბნება, მაგრამ... (დაფიქრდა) ბორის, ნეტავ მეც მამაკაცი ვიყო, ან თოფი ვიცოდე, ან ცურვა, ან ცხენზე ჯდომა!.. ყველაფერი მამაჩემის ბრალია, დედისერთა ხარო,—ბამბაში მხვევდა, ცივ ნიავს არ მაკარებდა. ახლა?! ახია ჩემზე...

ბ ო რ ი ს ი—მე შენზე გამოუცდელი ქალიც შემხვედრია ბრძოლის ველზე... ვაჟკაცზე ნაკლებ როდი უსახელებია თავი!

მ ა რ ი ნ ე—განა მე არ მინდა, ბორის!.. მაგრამ რითი? მე ხომ არაფერი ვიცი, მე ხომ არაფერი შემიძლია... გახსოვს? იმ დღეს რევოლვერის სროლას რომ მასწავლიდი, როგორ შემეშინდა!.. კალია რომ კალიაა, იმისიც კი მეშინია.

ბ ო რ ი ს ი—შენ ხომ მხატვარი ხარ, მარინე?

მ ა რ ი ნ ე—მერე რა? მეც მაგას ვჩივი!

ბ ო რ ი ს ი—შენ ხომ მხოლოდ იმას ხატავ, რაც გიტაცებს, რაც გიყვარს!

მ ა რ ი ნ ე—რა თქმა უნდა!

ბ ო რ ი ს ი—ეს მთები დაგიხატავს როდისმე? სტალინი დაგიხატავს როდისმე?..

მ ა რ ი ნ ე—ბევრჯერ ძალიან, ბევრჯერ, მაგრამ... ისე ვერასოდეს ვერ დავხატე, როგორც მე მინდოდა!

ბ ო რ ი ს ი—იცი, რატომ!

მ ა რ ი ნ ე—ალბათ, ვერ შევძელი...

ბ ო რ ი ს ი—არა, მარინე! დიდმა სიყვარულმა დიდი დავალება იცის... სტალინი და სამშობლო ხალხის გულში გა-

ნუყოფელია... რა გინდ დიდი მხატვარი იყოს მისი მხატვარი, რა ბრწყინვალე ნაწარმოებიც უნდა გამოუვიდეს, ვერასოდეს ვერ დაკმაყოფილდება, რადგან ადამიანის სიყვარული მისდამი უფრო დიდია, ვიდრე ადამიანს ამ სიყვარულის გამოხატვა შეუძლია... (გატაცებით) მხოლოდ ეს სიყვარულია საჭირო... ეს სიყვარული მიუძღვის ბრძოლაში ჩვენს ხალხს, ცეცხლში მიდიან და ცეცხლს არა გრძნობენ, კვდებიან და მაინც სცოცხლობენ! კავკასიონამდე დაიხიეს და, აქედანაც ისევ ბერლინს გასცქერიან.. ეს სიყვარული თოფსაც გასწავლის, ცურვასაც, მხედრობასაც და... (ალერსით) კალიისა არასოდეს აღარ შეგეშინდება, ჩემო მარინე!

მ ა რ ი ნ ე—როგორ გამახარე, ბორის! შენ რომ გისმენ... (საარტილერიო სროლა გახშირდა) აი, ეს საშინელი ხმა, ეს ქვეყნის ნგრევისა და უბედურების ხმა აღარ მესმის... ყველაფერი მავიწყდება (რაღაც მოაგონდა) იცი, ბორის, რა მინდა გითხრა? მაგრამ... არა, მერე იყოს, მერე, როდისმე!..

ბ ო რ ი ს ი—მითხარი, მარინე, ახლავე მითხარი, თორემ... მერე იქნებ დაგავიწყდეს, იქნებ ამისთვის აღარ გვეცალოს...

მ ა რ ი ნ ე—არ დამავიწყდება!..

ბ ო რ ი ს ი—არა, ახლა უნდა მითხრა... ძალიან გთხოვ, მარინე!..

მ ა რ ი ნ ე—რა ცნობისმოყვარე ყოფილხარ! ისეთი არაფერია... (წელში გასწორდა, თვალებში ჩახედა) იცი რა? ომი რომ გათავდება, მე შენს სურათს დავხატავ!

ბ ო რ ი ს ი—(გულწრფელად გახარებული) მართლა? მერე?

მ ა რ ი ნ ე—(გულუბრყვილოდ) რა მერე! ვერ გავიგე?!

ბ ო რ ი ს ი—გახსოვს, წელან რა მითხარი? მე მხოლოდ იმას ვხატავ, რაც მიტაცებს და მიყვარსო! ხომ ასეა?

მ ა რ ი ნ ე—(მიუხვდა, გაღიმა) ჰოდა, დავხატავ... უსათუოდ დავხატავ!..

მ გ ზ ა ვ რ ე ბ ი ს ხ მ ა—(ღერეფანში საღგურის უფროსს ხალხი შემოეხვია) „იქნება თუ არა!“ „რაო?! არაო?“ „ეშმაკმა იცის?!“

„მაშ, ბილეთები რად გაყიდეს?!“ „იქნება?“ „დამეხსენ, მე ჩემი ჭირიც მეყოფა!!“

ლ ე ვ ა ნ ი—(ხალხის წრე ძლივს გაარღვია) არ ვიცი... არაფერი არ ვიცი, მოქალაქე! არაფერი არ ვიცი (თავის ბინისკენ მიდის, მას შეწუხებული მგზავრი ქალი არ ეშვება)

ქ ა ლ ი—მაშ, როგორ მოვიქცე?

ლ ე ვ ა ნ ი—მე თვითონ არაფერი ვიცი და რა მოგახსენოთ!

ქ ა ლ ი—მაინც როგორ ფიქრობთ, იქნება თუ არა?

ლ ე ვ ა ნ ი—მოსასვლელი რომ ყოფილიყო, აქამდე მოვიდოდა... (ქალი ძლივს დაეხსნა... მარინე და ბორისი საუბარს განაგრძობენ) შვილო, მარინე... ბორის, რაღაც ცუდი ამბავია... აღარც ტელეფონი მუშაობს, მორზესაც ხმა ჩაუწყდა... წასასვლელად უნდა მოვემზადოთ!

მ ა რ ი ნ ე—(შემკრთალი) რით ან საით, მამავ?

ლ ე ვ ა ნ ი—რითა და რითაც ეს ხალხი... საითაც ეს ამოდენა ქვეყანა!.. (ოთახში შევიდნენ)

პ ი რ ვ ე ლ ი მ გ ზ ა ვ რ ი—სიჩუმე, ამხანაგებო!.. (ხალხი გაინა! ბა... საღგურს თანდათან ბორბლების გრიალი უახლოვდება) მოდის- (ხალხი წამოიშალა, ჩემოდნებით, კალათებით ლიანდაგს მიაწყდა)

მ ე ო რ ე მ გ ზ ა ვ რ ი—წესრიგი, წესრიგი მოქალაქენო!

(ხმაური მისწყდა, სულგანაბული ხალხი ლიანდაგს მისჩერებია, გუგუნი ახლოვდება და აი: ხიდზე მატარებლის ნაცვლად გამოჩნდა ღრეზინა, რომელსაც მოაჩქარებენ კუზმიჩი და ორიც სხვა მუშა. ხალხს თითქოს ცივი წყალი გადაესხა. ღრეზინა საღგურის წინ გაჩერდა, და კუზმიჩი, რომელსაც მხარზე ორლულიანი, სანადირო თოფი ჰკიდია, ჭაბუკივით მკვირცხლად გადმოხტა. მას მკერდზე გიორგის ჯვარ-მედლები უჩანს, „მატარებელი იქნება თუ არა?“— მიაძახა მგზავრმა).

კ უ ზ მ ი ჩ ი—(შესდგა, თითქოს ამდენი მგზავრი მხოლოდ ახლა შენიშნა) არ იქნება, მოქალაქენო, ნამდვილად არ იქნება... ვიდრე გვიან არ არის, ფეხით გირჩევნიათ! (და უფროსის ოთახს მიაშურა. კარს მიაწვა, კარი დაკეტილი დახვდა, ფანჯარა დააკაკუნა, არავინ უპასუხა და ლევანის ბინისაკენ გაეშურა. ხალხი აიშალა, აჩოჩქოლდა: ვინ ჩემოდანი მოიკიდა, ვინ ტომარა, ვინ— რა, გზატკეცილს გაუდგნენ. კუზმიჩმა ლევანის ბინის კარი მძლავ-

რად შეანჯღრია) ამხანაგო ლევან! (ლევანი კარებში გამოეგება) ჩქარა, ყველაფერი გათავდა!

ლ ე ვ ა ნ ი—როგორ თუ გათავდა?!

კ უ ზ მ ი ჩ ი—მტერმა ჩვენს სადგურს ზურგიდან შემოუარა, ამიტომ ჩვენმა ჯარებმა უფრო ხელსაყრელი ზღუდე დაიკავეს... ქალაქი დატოვებულია, რაიკომის მდივანს ელევატორის აფეთქება მოუსწრია, ნავთსაცავიც აუფეთქებია, მაგრამ გზაზე დასწვეიან, მისი მანქანა ტყვიამფრქვევით დაუცხრილავთ...

ლ ე ვ ა ნ ი—(შეშფოთებული) ვისი? სერგეი პეტროვიჩის?

კ უ ზ მ ი ჩ ი—კაცი შემხვდა, შოფერი ძოკლული უნახავს, მანქანა ხრამში გადაჩეხილა... ეტყობა, თვითონ ან მკვდარი, ან მძიმედ დაჭრილი ხელში ჩაიგდეს...

ლ ე ვ ა ნ ი—მაშ, ასე, კუზმიჩ, როგორც დილას მოვილაპარაკეთ... ჩემი დარჩენა შეუძლებელია, მარინეს შენთან დავტოვებდი, მაგრამ მეშინიან... ბორისის დარჩენა ხომ არავითარ შემთხვევაში!.. მისი ჯავრი ნუ გექნება!

კ უ ზ მ ი ჩ ი—ეჰ, ჩემი ბებერი, თორემ მე... ძაღლის სული მიდგას...

(დაცარიელებულ ღერეფანში ზურგზე ხურჯინმოკიდებული არსენა გამოჩნდა, იგი ხან ერთ კარს ეცა, ხან მეორეს, არავინ დახვდა და ლევანს რომ თვალი შეასწრო, მისკენ გამოქანდა)

ლ ე ვ ა ნ ი—აბა, კუზმიჩ!..—ხიდზე მუშები, ლიანდაგი აჰყარეთ, ჩქარა! (კუზმიჩი უმალ გატრიალდა)

ა რ ს ე ნ ა—(გატენილი ხურჯინიდან ქაფქირი და საწვნე ამოსჩრია) მთელი სადგური გადავაბრუნე... ბიჭო, რას მიშობი! ქვეყანა გააფრთხილე და მე აქანე მტოვებ? (აწრიალებული ერთ ადგილზე ვერ გაჩერებულა)

ლ ე ვ ა ნ ი—ბარემ ბუხარსაც ზურგზე მოიკიდებდი... ამდენი ხარახურა რა ამბავია?!

ა რ ს ე ნ ა—შენ, ჩემო ძამიავ, რავა არხეინად ლაპარაკობ? წავიდეთ, კაცო, შენი თავი თუ არ გეცოდება, გოგო მაინც შეიცოდე.

ლ ე ვ ა ნ ი—(დაცინვით) კი მაგრამ, რომ მიდიხარ, სად მიდიხარ?

ა რ ს ე ნ ა—პირდაპირ ალაგირში, იქ ჩემს ბიძაშვილს ცხენები

ჰყავს... მამისონზე დავეშვათ და ხვალვე რაჭაში ვიქნებით!

ლ ე ვ ა ნ ი—მერე? იქაც რომ მოვიდნენ?

ა რ ს ე ნ ა—მერე ნაქერალა, ქუთაისი და მისი ჯანი!..

ლ ე ვ ა ნ ი—მერე თბილისი, ერევანი, ბაქო... მერე? მერე? (ენამწარედ) შენი მამა-პაპა რომ შენსავით ვაჟკაცი ყოფილიყო, ახლა საქართველო, ალბათ, ავღანისტანში იქნებოდა!..

(კუზმიჩი და ორი მუშა ხიდზე გამალებით მუშაობენ. მათ რამდენიმე ძელი უკვე გადმოისროლეს გზატკეცილზე)

ა რ ს ე ნ ა—შე კაცო! გერმანია რუსმა ვერ გააჩერა და მე რომელი კაჟანდევი მნახე?

ლ ე ვ ა ნ ი—(ლაპარაკის კილო შეიცვალა) არსენ, ბიჭო, ჩვენ რომ მივდივართ, განა ცხრა მთას იქით ვიხიზნებით? აქვე, მთებში, პარტიზანებთან მივდივართ...

ა რ ს ე ნ ა—(გახარებულმა ხურჯინი იატაკზე დაადგა) ასთე მეტყოდი, შე მამაცხონებულო!.. მოგიკვდეს არსენა, თუ სადმე შეგარცხვინოს!..

ლ ე ვ ა ნ ი—წადი, კუზმიჩს მიეხმარე... დანარჩენს მერე შეიტყობ.

(არსენამ ხურჯინს ხელი დასტაცა, მოაჯირზე გადაჭიდა და კუზმიჩისაკენ გაქანდა. ლევანი შინ შევიდა. სცენა დაცალიერდა, მხოლოდ ბრმა მეფანდურე ისევ თავის ადგილას ზის. ხიდზე გამალებით მუშაობენ კუზმიჩი და მუშები, რომლებსაც არსენა შეუერთდა. მათ ცალი ლიანდაგი უკვე აჰყარეს. გზატკეცილის მხრიდან ქიგოზე დაყრდნობილი სერგეი პეტროვიჩი შემოვიდა. მას შუბლზე სისხლის ნაკვალევი ატყვია. ფეხზე ძლივს დგას... მარინემ აივანზე სავსე ჩანთა გამოიტანა და ისევ შინ შებრუნდა. სერგეიმ თვალი შეასწრო და მუხას ამოეფარა. ლევანმა ხელში ტელეფონის აპარატით კიბე ჩაირბინა, ქასთან მივიდა. აპარატი შიგ ჩააგდო. მას თბილი ქურქი ჩაუცვამს და თბილი ქუდი დაუხურავს)

ს ე რ გ ე ი—ამხანაგო ლევან!.. (ხმადაბლა გასძახა და ღონემიხდილი მუხას მიეყრდნო)

ლ ე ვ ა ნ ი—სერგეი პეტროვიჩ!.. (მისკენ გაქანდა, ხელი შეაშველა და ხის მონაჭერზ ფრთხილად დაუშვა) მარინე, წყალი!

სერგეი—(შემკრთალი) არა, არა... არავინ დამინახოს!.. დამ-
მალე სადმე...

ლევანი—ჩემი შვილია... ჩემი ქალიშვილი...

სერგეი—(თითქოს ბრძანებით) ვინც უნდა იყოს... ქვეყანაზე
არავინ უნდა იცოდეს... თვითონ ხედავ, მე აღარსად
შემიძლიან წასვლა... მძიმე საქმეს გავალებ, მაგრამ მეტი
გზა არ არის, შენც აქ უნდა დარჩე... ერთ დღეს, ორ
დღეს... სანამ ფეხზე დადგომას შევძლებდე...

ლევანი—(ხელი შეაშველა, მიჰყავს. მცირე პაუზა) ამხანაგო სერ-
გეი, რაც ერთ კაცს შეუძლია, ყველაფერს გავაკეთებ...

სერგეი—(შესდგა) ჩვენი მეკავშირე... ის ბრმა მეფანდურეა.
დღეიდან მოხუცი მათხოვრობას დაიწყებს... ყველა ჩემს
ბარათს იმას გადასცემ, დანარჩენი თვითონ იცის...
მხოლოდ ერთადერთ სიტყვას ეტყვი—„ყაზბეგი“, ეს
არის ჩვენი ნიშანი!.. აი, ესენიც დღესვე ვადაეცი (ლე-
ვანს რამდენიმე ბარათი გადასცა)

ლევანი—ნურაფერი გეფიქრებათ... აქვე, ლიანდაგს იქით,
ისეთი გამოქვაბულია, კაცი ვერ მიაგნებს... (ბარათები
უბეში ჩაიწყო)

სერგეი—შენ იცი... ახლა ეს საქმე შენს ხელთ არის... (გა
ვიდნენ, ხროლის ხმა ახლოს ისმის)

კუზმიჩი—(მაღლა აწვდილი ლიანდაგი გამოჩნდა) ამხანაგო ლე-
ვან, მზად არის!.. (კუზმიჩი და არსენა ხიდიდან ჩამოდიან)

არსენა—კუზმიჩ, ერთი სათხოვარი მაქვს!

კუზმიჩი—მითხარი, ჩემო არსენ!

არსენა—ქვაბები, ჭურჭელი, დანა-ჩანგალი... ერთი სიტყ-
ვით, ყველაფერი აქ მრჩება... თუ ძმა ხარ, შემინახე...

კუზმიჩი—(ჩაეცინა) კაცს თავსა სჭრიდნენ და მუწუკი არ
მატკინოო,—ასეა შენი საქმე... რა დროს ქვაბები და
დანა-ჩანგალია, ხედავ? ქვეყანა ინგრევა!..

არსენა—შენგან არ მიკვირს, კუზმიჩ?! პირველ ომში ნამ-
ყოფი კაცი მაინც არ იყო... გახსოვს?—გერმანიამ მაში-
ნაც ასე ფახა-ფუხით დაიწყო და ბოლოს რა მოუვიდა!
იმ დღესაც მალე ვნახავ, ჩემი ქვაბები ისევ ცეცხლზე
თუხთუხებდნენ და შენ კიდევ მეუბნებოდე, არსენ ერ-
თიც მომიტანე, მაგ შენი ოქრო-ხელის ჭირიმეო!..

კუზმიჩი—შენ პირს შაქარი, ნეტავი ასე მოხდებოდეს...

ლევანი—(ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა) კუზმიჩ, მოათავეთ?.. მა-
რინე... ბორის, დაღამდა!..

(ჩანთამოკიდებულმა მარინემ და ბორისმა კიბე სწრაფად ჩაირბინეს.
ლევანმა მარინე ალერსით აათვალიერა, უეცრად მკლავი მოხვია და
აკოცა)

მარინე—(გაუკვირდა) რა იყო, მამავ?

ლევანი—(ნაძალადევი სიმშვიდით) არაფერი... დავბერდი, შვი-
ლო, გულის ბრალია!.. (ხურჯინმოკიდებული არსენა, კუზმიჩი
და მუშები მოვიდნენ) აბა, მივდივართ! (ლევანი წინ გაუძღვა,
ერთბაშად შესდგა) უჰ!.. კინაღამ დამავიწყდა!.. კუზმიჩ, ფა-
ნარი მათხოვე!.. თქვენ იარეთ, ახლავე დაგეწევით!..

მარინე—მოგიცდით, მამავ!.. (დაბინდდა... ხროლა გახშირდა,
თვითმფრინავის ხმა)

ლევანი—იარეთ-მეთქი!.. მე ბილიკით დაგეწევით... (ლევანმა
სწრაფად აირბინა კიბე, შინ შევიდა... მიმავალნი ხიდს მიეფარნენ...
ცას მახლობელი ხანძრის შუქი მიადგა, ტყვიამფრქვევის ხმა გახ-
შირდა, ლიანდაგზე მწყობრი გუგუნი გაისმა. ლევანი აივანზე გა-
მოვიდა. მას ისევ რკინიგზელის ტანსაცმელი ჩაუცვამს. ღილები
ხელდახელ შეიბნია, ქუდი გაისწორა, ფანარი აიღო და წამით
შესდგა... ეტყობა, რაღაც გაახსენდა, უბიდან ბარათები ამოიღო,
სწრაფად მიუახლოვდა ბრმა მეფანდურეს) ყაზბეგი!

მეფანდურე—(თითქოს თავისთვის) ყაზბეგი ვარ! (ლევანმა ხელ-
ში ბარათები ჩაუდო და გაეცალა. მერე შესდგა, ფანარი აანთო,
უკაცური დერეფანი გადასჭრა, უმალ ხიდის ყურში, ლიანდაგზე
გაჩნდა და—ჯავშნიანი დრეზინაც გამოჩნდა. ლევანმა წითლად გა-
ნათებული ფანარი ასწია, დრეზინა აერილ ლიანდაგთან ერთბაშად
შესდგა)

კუზმიჩი—(ლიანდაგს იქით ამოჰყო თავი. იგი გაოცებული მისჩერე-
ბია ლევანს) აი, თურმე, რად უნდოდა ფანარი... ფუ შენს
კაცობას!

(ერთი შესძახა, მკერდზე მუშტი დაიკრა და უმალ გაჭქრა)

ლევანი—(დრეზინიდან გამოვიდნენ გერმანელი მაიორი და ნაბადმოსხ-
მული შურაევი. მათ გერმანელი ჯარისკაცები ახლავთ. ლევანი
მაიორს მხედრულად მიესალმა) სადგურ არლოვკას უფრო-
სი—ლევან ჩადუნელი.

სერგეი—(შემკრთალი) არა, არა... არავინ დამინახოს!.. დამ-
მალე სადმე...

ლევანი—ჩემი შვილია... ჩემი ქალიშვილი...

სერგეი—(თითქოს ბრძანებით) ვინც უნდა იყოს... ქვეყანაზე
არავინ უნდა იცოდეს... თვითონ ხედავ, მე აღარსად
შემიძლიან წასვლა... მძიმე საქმეს გავალებ, მაგრამ მეტი
გზა არ არის, შენც აქ უნდა დარჩე... ერთ დღეს, ორ
დღეს... სანამ ფეხზე დადგომას შევძლებდე...

ლევანი—(ხელი შეაშველა, მიჰყავს. მცირე პაუზა) ამხანაგო სერ-
გეი, რაც ერთ კაცს შეუძლია, ყველაფერს გავაკეთებ...

სერგეი—(შესდგა) ჩვენი მეკავშირე... ის ბრმა მეფანდურეა.
დღეიდან მოხუცი მათხოვრობას დაიწყებს... ყველა ჩემს
ბარათს იმას გადასცემ, დანარჩენი თვითონ იცის...
მხოლოდ ერთადერთ სიტყვას ეტყვი—„ყაზბეგი“, ეს
არის ჩვენი ნიშანი!.. აი, ესენიც დღესვე ვადაეცი (ლე-
ვანს რამდენიმე ბარათი გადასცა)

ლევანი—ნურაფერი გეფიქრებათ... აქვე, ლიანდაგს იქით,
ისეთი გამოქვაბულია, კაცი ვერ მიაგნებს... (ბარათები
უბეში ჩაიწყო)

სერგეი—შენ იცი... ახლა ეს საქმე შენს ხელთ არის... (გა
ვიდნენ, ხროლის ხმა ახლოს ისმის)

კუზმიჩი—(მაღლა აწვდილი ლიანდაგი გამოჩნდა) ამხანაგო ლე-
ვან, მზად არის!.. (კუზმიჩი და არსენა ხიდიდან ჩამოდიან)

არსენა—კუზმიჩ, ერთი სათხოვარი მაქვს!

კუზმიჩი—მითხარი, ჩემო არსენ!

არსენა—ქვაბები, ჭურჭელი, დანა-ჩანგალი... ერთი სიტყ-
ვით, ყველაფერი აქ მრჩება... თუ ძმა ხარ, შემინახე...

კუზმიჩი—(ჩაეცინა) კაცს თავსა სჭრიდნენ და მუწუკი არ
მატკინოო,—ასეა შენი საქმე... რა დროს ქვაბები და
დანა-ჩანგალია, ხედავ? ქვეყანა ინგრევა!..

არსენა—შენგან არ მიკვირს, კუზმიჩ?! პირველ ომში ნამ-
ყოფი კაცი მაინც არ იყო... გახსოვს?—გერმანიამ მაში-
ნაც ასე ფახა-ფუხით დაიწყო და ბოლოს რა მოუვიდა!
იმ დღესაც მალე ვნახავ, ჩემი ქვაბები ისევ ცეცხლზე
თუხთუხებდნენ და შენ კიდევ მეუბნებოდე, არსენ ერ-
თიც მომიტანე, მაგ შენი ოქრო-ხელის ჭირიმეო!..

კუზმიჩი—შენ პირს შაქარი, ნეტავი ასე მოხდებოდეს...

ლევანი—(ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა) კუზმიჩ, მოათავეთ?.. მა-
რინე... ბორის, დაღამდა!..

(ჩანთამოკიდებულმა მარინემ და ბორისმა კიბე სწრაფად ჩაირბინეს.
ლევანმა მარინე ალერსით აათვალიერა, უეცრად მკლავი მოხვია და
აკოცა)

მარინე—(გაუკვირდა) რა იყო, მამავ?

ლევანი—(ნაძალადევი სიმშვიდით) არაფერი... დავბერდი, შვი-
ლო, გულის ბრალია!.. (ხურჯინმოკიდებული არსენა, კუზმიჩი
და მუშები მოვიდნენ) აბა, მივდივართ! (ლევანი წინ გაუძღვა,
ერთბაშად შესდგა) უჰ!.. კინაღამ დამავიწყდა!.. კუზმიჩ, ფა-
ნარი მათხოვე!.. თქვენ იარეთ, ახლავე დაგეწევით!..

მარინე—მოგიცდით, მამავ!.. (დაბინდდა... ხროლა გახშირდა,
თვითმფრინავის ხმა)

ლევანი—იარეთ-მეთქი!.. მე ბილიკით დაგეწევით... (ლევანმა
სწრაფად აირბინა კიბე, შინ შევიდა... მიმავალნი ხიდს მიეფარნენ...
ცას მახლობელი ხანძრის შუქი მიადგა, ტყვიამფრქვევის ხმა გახ-
შირდა, ლიანდაგზე მწყობრი გუგუნი გაისმა. ლევანი აივანზე გა-
მოვიდა. მას ისევ რკინიგზელის ტანსაცმელი ჩაუცვამს. ღილები
ხელდახელ შეიბნია, ქუდი გაისწორა, ფანარი აიღო და წამით
შესდგა... ეტყობა, რაღაც გაახსენდა, უბიდან ბარათები ამოიღო,
სწრაფად მიუახლოვდა ბრმა მეფანდურეს) ყაზბეგი!

მეფანდურე—(თითქოს თავისთვის) ყაზბეგი ვარ! (ლევანმა ხელ-
ში ბარათები ჩაუდო და გაეცალა. მერე შესდგა, ფანარი აანთო,
უკაცური დერეფანი გადასჭრა, უმალ ხიდის ყურში, ლიანდაგზე
გაჩნდა და—ჯავშნიანი დრეზინაც გამოჩნდა. ლევანმა წითლად გა-
ნათებული ფანარი ასწია, დრეზინა აერილ ლიანდაგთან ერთბაშად
შესდგა)

კუზმიჩი—(ლიანდაგს იქით ამოჰყო თავი. იგი გაოცებული მისჩერე-
ბია ლევანს) აი, თურმე, რად უნდოდა ფანარი... ფუ შენს
კაცობას!

(ერთი შესძახა, მკერდზე მუშტი დაიკრა და უმალ გაჭქრა)

ლევანი—(დრეზინიდან გამოვიდნენ გერმანელი მაიორი და ნაბადმოსხ-
მული შურაევი. მათ გერმანელი ჯარისკაცები ახლავთ. ლევანი
მაიორს მხედრულად მიესალმა) სადგურ არლოვკას უფრო-
სი—ლევან ჩადუნელი.

შ უ რ ა ე ვ ი—(ხიდს დახედა) აშკარა სიკვდილს გადავრჩით!..

ლ ე ვ ა ნ ი—(შურაევს) თქვენს უფროსს გადაუთარგმნეთ, რომ მე გულწრფელად გაგიწიეთ ეს მცირე სამსახური!

მ ა ი ო რ ი—(ჯერ აურილ ლიანდაგს დაცქერდა, მერე ლევანს ახედ-დახედა) მე თქვენი ენა კარგად მესმის... ბრავე, მოლოდეც რუს!..

ფ ა რ დ ა

მეორე სურათი

იგივე სანახაობა, რაც პირველ სურათში

კუზმიჩი და ორი მუშა, რომელთაც მაშინ ხიდი დაანგრიეს, იმავე ხიდის აღდგენაზე მუშაობენ. კუზმიჩი თავაუღებლად, უხალისოდ ურტყამს მძიმე კვერს. სამგლოვიარო ზარივით ისმის ლიანდაგზე მისი ერთფეროვანი წკარუნი, მოშორებით გერმანელი გუშაგი დადის. სტანციიდან სამხრეულებზე ჩამოკიდებულ სათლებით ოცი-ოცდაათი ქალი მოდის მწკრივად, ისინი ქაზე წყალს იღებენ.

მ ე ფ ა ნ დ უ რ ე—(იმავე აღგილას ზის)

ცაზე ღამეა შავი,
ქვეყანას მოსავს თალხი...
მზეო, სინათლის დედავ,
ხალხი დაიხსენ, ხალხი!

ლ ი ზ ა—(მეფანდურესთან მიირბინა, კალთაში პურის ნაჭერი ჩაუდო) ყაზბეგი!

მ ე ფ ა ნ დ უ რ ე—ყაზბეგი ვარ! (უბიდან ბარათი ამოიღო და ლიზას ხელში მიაჩეჩა)

პ ე ლ ა გ ი ა—ლიზა, რა დაგემართა? ამდენმა ხალხმა შენ უნდა გიცადოთ?

ლ ი ზ ა—მოვდივარ, დეიდა პელაგია! (ჭასთან მიირბინა)

პ ე ლ ა გ ი ა—შენ რა სიარულს მოუხშირე ამ ჩვენს პანტელეისთან?

ლ ი ზ ა—საწყალი მამაჩემი ვნახე სიზმარში. პური მთხოვა... იმის შემდეგ ყოველდღე პურს ვუზიდავ ამ უბედურს, ამბობენ მიცვალებულს მიუვაო... (სათლს ხელი დაავლო და ჩქარი ნაბიჯით გავიდა)

კ უ ზ მ ი ჩ ი—(წელში ძლივს გაიმართა, შუბლზე ოფლი მოიწურა)

ცოტა რომ დავისვენოთ, ღმერთი არ გაგვიწყრება! სულ-ერთია, გერმანელები რკინის ჯვრებს არ დაგვირიგებენ!..

მ უ შ ა—ნურც შევეცილებით, მათვე გამოადგებათ საფლავის ჯვრებად. (თამბაქოს ქისა ამოიღო)

კ უ ზ მ ი ჩ ი—(ქალებს თვალი შეასწრო) საწყლები, როგორ წეროებივით დამწკრივებულან!.. ესეც იმ ვაჟბატონის ოინია. ან კი როგორ მოიფიქრეს! სოფელს ერთადერთი წყალსადენი ჰქონდა, ისიც მოუშალეს, რომ ხალხი მხოლოდ ამ ჭაზე ატარონ და ყოველ დილა-საღამოს ნახირივით დათვალონ.

მ უ შ ა—უნდა გავუძლოთ, კუზმიჩ, ახალი გერმანული წესრიგი ესა ყოფილა... (პაპიროსი გააბოლა)

კ უ ზ მ ი ჩ ი—(ჩიბუხი ამოიღო) მალე მიწაზე სიარულსაც დაგვიშლიან. ჰაერსაც კლიტეს დაადებენ, თვალებს დაგვთხრიან, რომ მზის სინათლე არ დაგვანებონ... (პაუზა) ცოტა თამბაქო ჩამიყარე, გუშინდელს აქეთ არ მომიწევია.

მ უ შ ა—(ქისა ხელის გულზე დაიბერტყა) გაიგე? კიდევ ახალი სამუშაო გაგვიჩნდა!

კ უ ზ მ ი ჩ ი—სადა!

მ უ შ ა—მეორე გადასარბენის ხიდიც აუფეთქებიათ... (მისკენ დაიხარა) ხუთი გერმანელი გუშაგიც ზედ მიუყოლებიათ...

კ უ ზ მ ი ჩ ი—ღმერთმა ამრავლოს!.. ორ დღეში მესამე ხიდია... დამიჯერე, სერგეი პეტროვიჩი ცოცხალია... ამ საქმეს მისი ხელი ატყვია!

მ უ შ ა—ამიტომ დაძრწიან ძაღლებივით... (ჩიბუხი აუნთო) წუხელ ჩვენი აგრონომი დაუპატიმრებიათ...

კ უ ზ მ ი ჩ ი—წუხელ? (დაფიქრდა) მოიცა... გუშინ საღამოს სადგურის უფროსი სტანიცაში დაბრძანდებოდა... მჯერა და არცა მჯერა... ფულით თუ შეაცდინეს, ფულზე კაცობა როგორ გაყიდა!.. შეაშინეს და,—ამ შერცხვენილ სიცოცხლეს სიკვდილი როგორ არ ერჩივნა!..

მ უ შ ა—ძაღლი ხსენებაზე! (ლიანდაგზე ნელა მომავალი ლევანი გამოჩნდა)

ლ ე ვ ა ნ ი—(კუზმიჩს დაცქერდა) ის ძველი საკუბოვე ჯვარ მედლები რატომ მოგიხსნია? რისა შეგეშინდა?!

კ უ ზ მ ი ჩ ი—(ეწყინა) მე ის ჯვარ-მედალი გერმანელების ლა-

ქიობაში როდი მიმიღია,—გერმანელებთან ბრძოლაში მივიღე!

ლ ე ვ ა ნ ი – შენ ენა დაიმოკლე და მაგ საქმეს მიხედე... დროზე გაათავეთ!

კ უ ზ მ ი ჩ ი—გაათავეთ, სათქმელად ადვილია! (შხამიანად) მაშინ გვიბრძანე, დაანგრიეთო, და—დავანგრიეთ... ახლა გვიბრძანე გააკეთეო, და ჩვენც ვაკეთებთ... იქნებ, მესამე ბატონიც გამოიცვალო, მაშინ რაღას გვიბრძანებ, ბატონო უფროსო?

ლ ე ვ ა ნ ი—(წარბი შეიკრა) ენას რომ ძვალი ჰქონოდა, აქამდე დაგახრჩობდა... ამდენ ყბედობას – შენს საქმეს ერთგულად ემსახურო—ის გირჩევნია, ბებერო!

კ უ ზ მ ი ჩ ი—(აენთო) თავის საქმის მოღალატე მაღალმა ღმერთმა დარისხოს... ორგულსა და უნამუსო კაცს თვალის სინათლე უნდა გაუთავდეს, რომ ვისაც შეხედავს, ყველა უნამუსო არ ეგონოს! (ლევანი ღელავს, ნ ბიჯი გადადგა წინ, თითქოს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ მოახლოვებული შურაევი შენიშნა და უმალ გაბრუნდა. თვალი გააყოლა) ხედავ, სიტყვაც ვეღარ შემომიბრუნა! (შურაევს დაეცქირდა) ნეტავი ეს მეორე ძაღლი საიდანღა მოიყვანეს!.. (ჭასთან ჩამომჯდარი გერმანელი ჯარისკაცი დავთარში თვითეული ქალის გვარს ინიშნავს. კუზმიჩის ცოლი ჰელგა ნესტოროვნა სათლს ავსებს. ჭის კედელზე ნახშირით მიუწერიათ „იუდა“)

პ ე ლ ა გ ი ა—(გერმანელს) ვოლკოვა!

1-ლი ქ ა ლ ი—ანდრ უშენკო!

2-რე ქ ა ლ ი—მიხაილოვა! (სამივემ სამხრეულები გაიდვეს მხარზე და იქვე შორიახლო შესდგნენ)

შ უ რ ა ე ვ ი—(ლევანთან საუბრით ჭას მიუახლოვდა, წარწერას მოჭკრა თვალი, გულიანად გადაიხარხარა) ნათლობა უნდა გადაიხადო, ნათლობა! კი მაგრამ შენ მოგნათლეს თუ მე?

ლ ე ვ ა ნ ი—(გული დაეწვა) ჯერჯერობით მე... (ერთბაშად შეუტია ქალებს) ამდენი წყალი რა ამბავია? ცეცხლი ხომ არ გაგჩენიათ?.. მოშორდით აქედან! (ჭის სარქველი დახურა)

დ ე დ ა ბ ე რ ი—ნეტავი მართლა ცეცხლი გაგვჩენოდა!.. აგრემც ცეცხლმა და ნავთმა წაიღოს თქვენი სახსენებელი...

1-ლი ქ ა ლ ი—ჩუმად, ქალო... ვერა ხედავ, მგლებივით გვიცქერიან.

პ ე ლ ა გ ი ა—იქ მოგვიშალეთ, აქაც აღარ გვანებებთ... წყალზე პირუტყვსაც არ ეტყვიან უარს, თქვე უღმერთონო! (წავიდა, ქალები უკან გაჰყვნენ, ლევანმა ჩვარი აიღო, წარწერის მოშლა დააპირა)

შ უ რ ა ე ვ ი—რას შვრები, მეგობარო! მაგან ფული იცის... რამდენსაც მეტს წააწერენ, იმდენი შენთვის ხეირია!.. (მაიორი აივანზე გამოვიდა)

ლ ე ვ ა ნ ი – (დაფიქრდა. ჩვარი გადაისროლა) განა მწყინს, მაგრამ...

მ ა ი ო რ ი—რა იყო, რა ხმაურია?!

შ უ რ ა ე ვ ი—არაფერი, ბატონო მაიორო! იუდაო, კედელზე მიუწერიათ და, ხომ მოგეხსენებათ, ამისთვის ახალი ხილია და, ეხამუშება... მაშ, მე რაღა ვქნა, ორჯერ ზედიზედ სიკვდილი დამიწერეს!..

ლ ე ვ ა ნ ი—მე მაგათ ვასწავლი, სამშობლოს სიყვარული როგორ უნდა!

მ ა ი ო რ ი—ამათ მე ვასწავლი, შენ კი შენიანებს ასწავლე, როდესაც შენი სამშობლოც იქნება თავისუფალი... ქართველი ვარო, ასე არ მითხარი?

ლ ე ვ ა ნ ი—ახლაც მაგას მოგახსენებთ, ბატონო მაიორო! ამ გზას თავს იმიტომ ვაკლავ, რომ ჩემი სამშობლო მალე გახდეს თავისუფალი...

მ ა ი ო რ ი—მოლოდეც... ასე უნდა... ოო, საქართველო მე ძალიან მომწონს... ოცდაოთხი წლის წინათ ვნახე პირველად. ნამდვილი სამოთხეა, ღვინოც ბევრია და ლამაზი ქალებიც... აღარ მეთმობოდა, მაგრამ... (ბუზს) აი, ახლა ისევ ვნახავ! ჩვენს ოფიცრებს უკრაინაში მიწებს ურიგებდნენ. იქ ხომ ნოყიერი შავი მიწაა, მე უარი ვთქვი. საქართველოში, შავი ზღვის პირას მირჩევნია-მეთქი... მგონი, არ მოვტყუებულვარ,—ხომ უკეთეს მიწას ვიშოვნი საქართველოში?

ლ ე ვ ა ნ ი (ძლიერ მშვიდად). რადგან იქ გირჩევნიათ, თქვენი საკადრისი შავი მიწა საქართველოშიც მოინახება, ბატონო მაიორო!

მ ა ი ო რ ი—მოლოდეც... ასე, აი ასე უნდა... შენც ხომ გეჩქარება? ამიტომ გზა მალე უნდა გაკეთდეს...

ლ ე ვ ა ნ ი—ბარემ მეც მინდა, მაგრამ რა გამოვიდა, ყოველდღე აფეთქება და უბედურება...

მ ა ი ო რ ი—მალე მოვუღებთ ბოლოს, კვალი აქ არის მოტანილი...

ლ ე ვ ა ნ ი—არ დაიჯეროთ, ბატონო მაიორო!.. ის ცოცხალი აღარ არის.

მ ა ი ო რ ი—საფლავებიც კი გადავთხარეთ, ყველა მკვდარი შევამოწმეთ... მაშ, რა იქნა?

ლ ე ვ ა ნ ი—მაშინ უსათუოდ ტყეში არის,—სადაც ადგილობრივი ხელისუფლება წავიდა...

მ ა ი ო რ ი—მაგასაც შევიტყობთ, ზეგ ყველაფერი მეცოდინება... (ხიდს გახედა) რა მოხდა? რით ვერ მოათავეს ეს ხიდი?

ლ ე ვ ა ნ ი—ხვალამდე მივეცი ვადა... ნება მომეცით, წავიდე!

მ ა ი ო რ ი—(თავი დაუქნია) შურაევ!

შ უ რ ა ე ვ ი—აქა ვარ, ბატონო მაიორო!

მ ა ი ო რ ი—იფიქრე? გადასწყვიტე? ხვალ საღამომდე უნდა ვიცოდე, რაიკომის მდივანი ტყეშია თუ არა...

შ უ რ ა ე ვ ი—ძალიან ძნელია, ბატონო მაიორო, ციხეში ნაჯდომი კაცი ვარ... იქ, ტყეში, ვინმემ რომ მიცნოს, დავიღუპები...

მ ა ი ო რ ი—გამოიგონე რამე!

შ უ რ ა ე ვ ი—ძალიან ვცდილობ... გახიზნულ ხალხთან ასე დაგვიანებით მისვლა?.. არაფერი გამოვა, ბატონო მაიორო!

მ ა ი ო რ ი—(გაბრაზდა) მიჰქარავ, მაშინ მე გასწავლი... მამაშენიც ხომ შენი ხელობის კაცია! წადი, თავი მოსჭერი და მათ მიუტანე... უთხარი, სამშობლოს მოღალატე იყო-თქო... მაშინ ხომ გენდობიან!

შ უ რ ა ე ვ ი—(უმწეოდ) დიახ, დიახ, ბატონო მაიორო!

ო ფ ი ც ე რ ი—(შემოდის) ბატონო მაიორო! (პაკეტი გაუწოდა) ფრიად სასწრაფოა!

მ ა ი ო რ ი—(პაკეტი გახია, კითხულობს, წარბები შეიკრა, გაბრაზებულმა ბოლთა დაჰკრა) აჰა, კიდევ!.. ახლა მთელი ეშელონი!.. გუშაგებიც ჰყოლიათ, თვითმფრინავიც მიაცილებდა... პირდაპირ გაუგონარია!

შ უ რ ა ე ვ ი—(გაუბედავად) ბატონო მაიორო!

მ ა ი ო რ ი—(პაუზა) სთქვი!

შ უ რ ა ე ვ ი—ამ სადგურის უფროსის სიცოცხლე ძვირად გიღირთ?

მ ა ი ო რ ი—ვერ გავიგე?!

შ უ რ ა ე ვ ი—გავცემ, ბატონო მაიორო, მაშინ აღარაფერი გამიჭირდება...

მ ა ი ო რ ი—(დაფიქრდა... გაღიმა) მოლოდეც... წადი... (მიმავალს უკან მიაძახა) ხვალ საღამოს ყველაფერი უნდა ვიცოდე! (გარედან ტირილის თუ კივილის ხმა მოისმა.)

პ ა ვ ლ ი კ ა—გამიშვი, გამიშვი, შე ულმერთო... ვაი დედავ... (ახმახი გერმანელი ჯარისკაცი 12-13 წლის ბიჭს მოათრევს, ხელში ვეება ხანჯალი უჭირავს.) გამიშვი... გამიშვი, შე რჯულძალლო, ვაი დედავ!..

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი—(ბიჭი მაიორის წინ წამოაჩოქა) ბატონო მაიორო! სწორედ იმ ადგილას დაეხეტებოდა, სადაც ლიანდაგში ჩადგმული ტოლი ვიპოვეთ...

მ ა ი ო რ ი—მერე? (ბიჭს დააცქერდა)

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი—არაფერი დავაკელით, მაგრამ ვერ გავტეხეთ...

პ ა ვ ლ ი კ ა—თხები გამომეცნენ, მაშ, თავი გამენებებინა? (დიდგულად შეუბღვირა ჯარისკაცს)

მ ა ი ო რ ი—(ბიჭს მიუახლოვდა, თავზე ხელი გადუსვა, ფეხზე წამოაყენა) მოლოდეც... კარგი ბიჭი სჩანხარ, რა გქვია სახელი?

პ ა ვ ლ ი კ ა—პავლიკა, ბატონო!

მ ა ი ო რ ი—სადაური ხარ?

პ ა ვ ლ ი კ ა—მალინოვკიდან!

მ ა ი ო რ ი—მოლოდეც... შენ ყველაფერი გცოდნია... მამაშენი სად არის?

პ ა ვ ლ ი კ ა—არსად... მკვდარია!

მ ა ი ო რ ი—დედაშენი?

პ ა ვ ლ ი კ ა—ისიც... ობოლი ვარ!

მ ა ი ო რ ი—(თითქოს მიაგნო რაღაცას) მაშ, თხები ვისი იყო?

პ ა ვ ლ ი კ ა—მეზობლებისა... მწყემსი ვარ!

მ ა ი ო რ ი—მოლოდეც... ნამდვილი კაზაკი ყოფილხარ! (ნაძალადევი ალერსით) ეს რა კარგი ხანჯალი გქონია! (ჯარისკაცს ხანჯალი გამოართვა) ვინ გაჩუქა?

მ ა ი ო რ ი—მოლოდეც... ასე, აი ასე უნდა... შენც ხომ გეჩქარება? ამიტომ გზა მალე უნდა გაკეთდეს...

ლ ე ვ ა ნ ი—ბარემ მეც მინდა, მაგრამ რა გამოვიდა, ყოველდღე აფეთქება და უბედურება...

მ ა ი ო რ ი—მალე მოვუღებთ ბოლოს, კვალი აქ არის მოტანილი...

ლ ე ვ ა ნ ი—არ დაიჯეროთ, ბატონო მაიორო!.. ის ცოცხალი აღარ არის.

მ ა ი ო რ ი—საფლავებიც კი გადავთხარეთ, ყველა მკვდარი შევამოწმეთ... მაშ, რა იქნა?

ლ ე ვ ა ნ ი—მაშინ უსათუოდ ტყეში არის,—სადაც ადგილობრივი ხელისუფლება წავიდა...

მ ა ი ო რ ი—მაგასაც შევიტყობთ, ზეგ ყველაფერი მეცოდინება... (ხიდს გახედა) რა მოხდა? რით ვერ მოათავეს ეს ხიდი?

ლ ე ვ ა ნ ი—ხვალამდე მივეცი ვადა... ნება მომეცით, წავიდე!

მ ა ი ო რ ი—(თავი დაუქნია) შურაევ!

შ უ რ ა ე ვ ი—აქა ვარ, ბატონო მაიორო!

მ ა ი ო რ ი—იფიქრე? გადასწყვიტე? ხვალ საღამომდე უნდა ვიცოდე, რაიკომის მდივანი ტყეშია თუ არა...

შ უ რ ა ე ვ ი—ძალიან ძნელია, ბატონო მაიორო, ციხეში ნაჯდომი კაცი ვარ... იქ, ტყეში, ვინმემ რომ მიცნოს, დავიღუპები...

მ ა ი ო რ ი—გამოიგონე რამე!

შ უ რ ა ე ვ ი—ძალიან ვცდილობ... გახიზნულ ხალხთან ასე დაგვიანებით მისვლა?.. არაფერი გამოვა, ბატონო მაიორო!

მ ა ი ო რ ი—(გაბრაზდა) მიჰქარავ, მაშინ მე გასწავლი... მამაშენიც ხომ შენი ხელობის კაცია! წადი, თავი მოსჭერი და მათ მიუტანე... უთხარი, სამშობლოს მოღალატე იყო-თქო... მაშინ ხომ გენდობიან!

შ უ რ ა ე ვ ი—(უმწეოდ) დიახ, დიახ, ბატონო მაიორო!

ო ფ ი ც ე რ ი—(შემოდის) ბატონო მაიორო! (პაკეტი გაუწოდა) ფრიად სასწრაფოა!

მ ა ი ო რ ი—(პაკეტი გახია, კითხულობს, წარბები შეიკრა, გაბრაზებულმა ბოლთა დაჰკრა) აჰა, კიდევ!.. ახლა მთელი ეშელონი!.. გუშაგებიც ჰყოლიათ, თვითმფრინავიც მიაცილებდა... პირდაპირ გაუგონარია!

შ უ რ ა ე ვ ი—(გაუბედავად) ბატონო მაიორო!

მ ა ი ო რ ი—(პაუზა) სთქვი!

შ უ რ ა ე ვ ი—ამ სადგურის უფროსის სიცოცხლე ძვირად გიღირთ?

მ ა ი ო რ ი—ვერ გავიგე?!

შ უ რ ა ე ვ ი—გავცემ, ბატონო მაიორო, მაშინ აღარაფერი გამიჭირდება...

მ ა ი ო რ ი—(დაფიქრდა... გაღიმა) მოლოდეც... წადი... (მიმავალს უკან მიაძახა) ხვალ საღამოს ყველაფერი უნდა ვიცოდე! (გარედან ტირილის თუ კივილის ხმა მოისმა.)

პ ა ვ ლ ი კ ა—გამიშვი, გამიშვი, შე ულმერთო... ვაი დედავ... (ახმახი გერმანელი ჯარისკაცი 12-13 წლის ბიჭს მოათრევს, ხელში ვეება ხანჯალი უჭირავს.) გამიშვი... გამიშვი, შე რჯულძალლო, ვაი დედავ!..

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი—(ბიჭი მაიორის წინ წამოაჩოქა) ბატონო მაიორო! სწორედ იმ ადგილას დაეხეტებოდა, სადაც ლიანდაგში ჩადგმული ტოლი ვიპოვეთ...

მ ა ი ო რ ი—მერე? (ბიჭს დააცქერდა)

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი—არაფერი დავაკელით, მაგრამ ვერ გავტეხეთ...

პ ა ვ ლ ი კ ა—თხები გამომეცნენ, მაშ, თავი გამენებებინა? (დიდგულად შეუბღვირა ჯარისკაცს)

მ ა ი ო რ ი—(ბიჭს მიუახლოვდა, თავზე ხელი გადუსვა, ფეხზე წამოაყენა) მოლოდეც... კარგი ბიჭი სჩანხარ, რა გქვია სახელი?

პ ა ვ ლ ი კ ა—პავლიკა, ბატონო!

მ ა ი ო რ ი—სადაური ხარ?

პ ა ვ ლ ი კ ა—მალინოვკიდან!

მ ა ი ო რ ი—მოლოდეც... შენ ყველაფერი გცოდნია... მამაშენი სად არის?

პ ა ვ ლ ი კ ა—არსად... მკვდარია!

მ ა ი ო რ ი—დედაშენი?

პ ა ვ ლ ი კ ა—ისიც... ობოლი ვარ!

მ ა ი ო რ ი—(თითქოს მიაგნო რაღაცას) მაშ, თხები ვისი იყო?

პ ა ვ ლ ი კ ა—მეზობლებისა... მწყემსი ვარ!

მ ა ი ო რ ი—მოლოდეც... ნამდვილი კაზაკი ყოფილხარ! (ნაძალადევი ალერსით) ეს რა კარგი ხანჯალი გქონია! (ჯარისკაცს ხანჯალი გამოართვა) ვინ გაჩუქა?

პ ა ვ ლ ი კ ა—(ერთბაშად შეკრთა) არავინაც არ მაჩუქა, ჩემია!.. (თუ როდის შემოვიდა ლევანი, არავის შეუნიშნავს. ის მუხას მიჰყუდებია და, სმენადქცეული, ბიჭს თვალს არ აშორებს)

მ ა ი ო რ ი—(ბიჭს იჭვნეულად დააცქერდა) ერთი მტკაველი ბიჭი ხარ, ერთი ადლი ხანჯალი რად გინდა, ბიჭიკო?

პ ა ვ ლ ი კ ა—(მღელვარება შეეტყო) ჩემი ხანჯალია... რა გინდათ ჩემგან?.. მომეცი, ჩემია!.. აქ მომეცი ხანჯალი! (ხანჯალს წაეპოტინა, მაგრამ ჯარისკაცმა ბიჭი აღვილად წამოაჩოქა მიწაზე)

მ ა ი ო რ ი—(ხანჯალი ხელში ემსუბუქა. სინჯვა დაუწყო, ქარქაშიდან ამოზიდა, ხელში ერთი ბეწვა ხანჯლის პირი შერჩა) მოლოდეც... მე კი დიდი მეგონა!.. (ბიჭს ეჭვით შეავლო თვალი, ქარქაშში ჩახედა და ხანჯლის წვერით გრძელი რაღაც ზონარი ამოაძრო) ოჰო! მოლოდეც! (ოფიცერს) ხედავ? ნამდვილი ამაფეთქებელი—ბიკფორდის ზონარი (და ბიჭს ისევ ალერსით მიმართა) ეს ლამაზი თოკი ვინ მოგცა?

პ ა ვ ლ ი კ ა—გზაში ვიპოვე... მომეცით ჩემი ხანჯალი! (ჯარისკაცმა ბიჭი მძლავრად დაიქნია და პირქვე დასცა) ვაი დედავ!.. ვაი...

მ ა ი ო რ ი—გაუშვი, რას აწვალებ?.. ბავშვს გზაზე უპოვნია! (ჯარისკაცი გაოცებული მისჩერებია მაიორს, ბიჭს ხელს არ უშვებს) გაუშვი ხელი! (ისევ უყვირა ჯარისკაცს, რომელიც გაოგნებული მისჩერებია უფროსს) დურრაკ! გაუშვი-მეთქი! (მაიორმა ხელი გააშვებინა, ბიჭი წამოაყენა და თავზე ხელი გადაუსვა) წადი, შენს თხებს მიხედე... ყოჩაღი ბიჭი ყოფილხარ! (ბიჭმა მადლიერი თვალები შეანათა მაიორს და უმალ გატრიალდა) მოიცა!.. ხანჯალი რომ დავგრჩა?..

პ ა ვ ლ ი კ ა—(მობრუნდა, ხანჯალი გამოართვა) მადლობელი!.. (მეტი ვერაფერი მოახერხა და გახარებულმა მოჭკურცხლა...)

მ ა ი ო რ ი—(თვალებგადმოკარკლულ ჯარისკაცს) მარშ! (წელში გაუშეებული ჯარისკაცი ჩექმების ბრახუნით გავიდა) ლეიტენანტ კრანც!

ო ფ ი ც ე რ ი—აქა ვარ!

მ ა ი ო რ ი—ახლავე ამ ბიჭს კვალდაკვალ მიჰყევ... სწრაფად!.. ასი ყური და ასი თვალი!.. ეს ლამაზი თოკი სწორედ მასთან მიგვიყვანს, ვისაც ვეძებთ...

ფ ა რ დ ა

მოქმედება მეორე

პირველი სურათი

კავკასიის ქედის ტყიანი კალთები. შუა ტყეში გორაკი—გახიზნულთა მიწურებით. გორაკზე—ძველის ძველი კოშკი და მის ძირას რამდენიმე კოცონი, რომელზეაც ხიზნები თბებიან. კოშკთან თოფიანი გუშაგი. თოვს, არსენა და არჩილი კარავს მართავენ. საღამოა. ხმაღაბალი, ხაღვლიანი სიმღერა. მარინე და ბორისი ცეცხლის პირას მარტონი.

მ ა რ ი ნ ე—რას ამბობ, ბორის! სამი დღე გავიდა... ცოცხალი რომ იყოს, აქამდე როგორ ვერ მოაღწევდა? არა, უეჭველად, რაღაც უბედურება შეხვდა. (თავი მკლავებში ჩარგო)

ბ ო რ ი ს ი—უცნაური ხარ, მარინე! რატომ მაინცა და მაინც ცუდი რამ უნდა იფიქრო? ხომ ხედავ, სადა ვართ! ამ მთებში, ამ უღრან ტყესა და დაკარგულ ხეობაში ჩვენი პოვნა ასე ადვილი რომ იყოს, მტერიც ხომ ადვილად მოგვაგნებდა?!

მ ა რ ი ნ ე—ჩვენ ხომ მეგობრები ვართ, ბორის! რატომ პირდაპირ, გულახდილად არ მეუბნები, რასაც ფიქრობ!.. აი, ისე, როგორც წინათ იცოდი... გული გინდა დამიმშვიდო?.. შენ არ იცნობ მამაჩემს! როდესაც შინ ვიყავი, თავს დამკანკალებდა, ღამეში ათჯერ დამხედავდა—მეძინა თუ მეღვიძა, და ახლა რა დაემართა? ამ ტყეში ასე მიმატოვა? ცოცხალია და ვერ მომნახა? რომელ ტყესა და მდინარეს შეეძლო მისი გაჩერება? არა მაგას ნუ მეტყვი, ნუ!.. შენ არ იცი, მამაჩემი როგორი ამაყი კაცია, ის გერმანელებს არაფერს დაუთმობდა, ნამდვი-

ლად სადგურში მიუსწრეს და... (თვალებზე ორივე ხელი მიიფარა)

ბ ო რ ი ს ი—შეიძლება ასეც მოხდა. მარინე... მერე რა? (ორივენი წამოდგნენ) მამაშენიცა და მამაჩემიც, შენცა და მეც... დღეს ყველა ჩვენგანი შეიძლება შესდგეს სიკვდილ-სიცოცხლის ამ უხილავ სასწორზე... კაცს სიცოცხლე ასი აქვს, სიკვდილი კი—ერთი! მას შეუძლია ერთხელ ჩადენილი შეცდომა მეორედ გამოასწოროს, ერთი უვარგისი წუთი სიცოცხლისა—მეორეთი ზღოს ღა თავის კაცობას სირცხვილი მოსწმინდოს... უსახელო სიკვდილს კი აღარაფერი ეშველება—შავად ჩაებეჭდება სამუდამოდ! ამიტომ სიკვდილისა იმას უნდა ეშინოდეს, ვინც უსახელოდ კვდება... ახლა ამ საქვეყნო განსაცდელის ჟამს, ხალხის საქმისთვის სიკვდილისა ვის ეშინია? მხოლოდ იმას, ვისაც უსახელო სიკვდილი შეუძლია! განა მამაშენი ასეთი კაცია?

მ ა რ ი ნ ე—(დამშვიდებული, ალერსით შესცქერის) არა, ის ასეთი კაცი არ არის!

ბ ო რ ი ს ი—მაშ, რისი გეშინიან?

მ ა რ ი ნ ე—(ნაზად) ბორის, მე ისევ შენი მეგობრული ხმა გავიგონე... როგორ დამამშვიდე!.. ახლა აღარაფრისა მეშინიან. (კოშკთან გახიზნულთა მეთაური მაქსიმე გამოჩნდა. მას ორი პარტიზანი ახლავს—ერთი მათგანი ყვება ტანის ბეკოევი, მეორე შკურატი)

მ ა ქ ს ი მ ე—(არსენასთან და არჩილთან შესდგა) ამხანაგო არსენ, შენი გაკეთებული სამზარეულო ვნახე, კარგად მოგიწყვია, ჩვენი პარტიზანები მადლობას გეტყვიან!..

ა რ ს ე ნ ა—სამზარეულოს არა უჭირს რა, ამხანაგო მაქსიმე მაგრამ ეს ჩვენი პარტიზანები რომ არსად სჩანან?!

მ ა ქ ს ი მ ე—როგორ თუ არსად სჩანან! მაშ, შენ ვინა ხარ? ეს შენი მეგობარი ვინ არის?! აქ ვინცა ვართ—ჩვენ ყველანი პარტიზანები ვართ!..

ა რ ს ე ნ ა—კი, მარა იარაღი?

მ ა ქ ს ი მ ე—იარაღიც მალე გვექნება... ჩვენი თუ არ გვეყოფა თითო მარჯვედ ნასროლი ტყვია, თითო გერმანულ

ავტომატს გვაშოვნინებს... აი ამხანაგმა შკურატმა ორი ერთად მოიტანა!

ბ ო რ ი ს ი—(სიხარულით) ამხანაგო შკურატ, მაშ, მეორე ხიდიც?

შ კ უ რ ა ტ ი—ავდარმა მიშველა, ნისლი იყო ჩამოწოლილი ორივე ბურჯი ავაფეთქე,—ერთ კვირას იმ ხიდზე ვეღარაფერი გაივლის... (წინ წამოვიღნენ)

მ ა ქ ს ი მ ე—ამხანაგო ბეკოევ, ქალაქში შესვლა როგორ მოახერხე?

ბ ე კ ო ე ვ ი—მენა, შენი ჭირიმე, მითომა გასაყიდად ერთი ბებერი თხა წავიყვანე, ერთიცა—მამალი ქათამი... თხა ალდგომის კვერცხივით წითელმა გერმანელმა წამართვა, მამალი თამბაქოში გავცვალე.

მ ა ქ ს ი მ ე—მაშ, სერგეი პეტროვიჩისა ვერსად ვერაფერი შეიტყვე?

ბ ე კ ო ე ვ ი—არლოვკასთან, სადაც დიდი ხიდია, დამტვრეული მანქანა ჩემი თვალითა ვნახე. მკვდარი შოფერი ხევში ვიპოვნე... რუსსა ვკითხე,—არაფერი მითხრა; ოსსა ვკითხე,—არაფერი იცის... ის კი გავიგე, რომა გერმანელმა ვერც მკვდარი, ვერც ცოცხალი ვერსად იპოვნა.

ბ ო რ ი ს ი—თვითონ სტანიცაში იყავით?

ბ ე კ ო ე ვ ი—ვერა, ამხანაგო ბორის, მას გერმანელი მაიორი თვითონაც მეძებარი ძაღლივით დაეძებს, ვერ მოვახერხე...

შ კ უ რ ა ტ ი—სტანიცაში ხმას არავინ იღებს, მაგრამ სადაც ან ხიდი აფეთქდება, ან მატარებელი კლდეზე გადავარდება, ყველას ისე ჰგონია, რომ ეს სერგეი პეტროვიჩის ხელია. გუშინაც ელექტროსადგური აუფეთქებიათ...

მ ა ქ ს ი მ ე—(ხმამაღლა) ამხანაგებო! (ბუჩქებიდან, მიწურებიდან მაშინვე წამოიშალა ხალხი, ზოგი იარაღით, ზოგიც უიარაღოდ, მეთაურს ირგვლივ შემოერტყნენ) ჩვენმა კაცებმა კარგი ამბავი ვერ მოგვიტანეს! სერგეი პეტროვიჩი აქ, ამ ადგილას უნდა დაგვხვედროდა, მას უნდა ჩაებარებინა ჩემთვის იარაღისა და სურსათის საწყობები, მხოლოდ მან იცის—სად რა არის დამალული... ის კი არსადა სჩანს, არც ცოცხალი, აღარც მკვდარი!

შ კ ურ ა ტ ი—საგზალს მთის სოფლებიდან ჩამოვიტანთ, ამხანაგო უფროსო!

მ ა ქ ს ი მ ე—კი, მაგრამ იარაღი? უპურობას კაცი კიდევ გაუძლებს, მაგრამ უთოფოდ, უტყვიაწამლოდ ჩვენ ამ ხეობაში არ დაგვედგომება!

ბ ე კ ო ე ვ ი—მაშინ მეტი რა გზაა—ავყვეთ ამ ბილიკებსა და პირდაპირ სვანეთში გადავალთ!..

ა რ ს ე ნ ა—შენ, ჩემო ძამია, მეიხედე ერთი აქეთ! რავა ფიქრობ, ამ ბილიკებს ისინი კი ვერ ამოყვეებიან? მერე? მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი, სომხეთი, აზერბაიჯანი, მერე? ასთე თუ ირბინე, ძამია, მალე კიტაიაში ამოყოფ თავს!.. ამ ქვეყანაზე გზას რა გამოლევს!.. სადმე ხომ უნდა გაჩერდე? ამაზე დალოცვილ ადგილს სად ვნახავთ?

მ ა ქ ს ი მ ე—მეც ეგრე ვფიქრობ, ამიტომ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, სერგეი პეტროვიჩი უნდა მოვძებნოთ, ცოცხალია—უნდა მივაგნოთ... მკვდარია—ისიც უნდა ვიცოდეთ. (ხალხს) ვინ არის აქ არლოვკიდან?

ა რ ს ე ნ ა—(წინ წაიდგა) მე გახლავართ!

მ ა რ ი ნ ე—მეც იქიდანა ვარ!

მ ა ქ ს ი მ ე—(არსენას დაეცქერა) კარგი იქნება, ახლავე წახვიდე!.. სტანიცაში შესვლა უნდა მოახერხო როგორმე... ხალხში გაიარ-გამოიარე, არ შეიძლება, მკვდარი ან ცოცხალი ვინმეს არ ენახოს!

ა რ ს ე ნ ა—(შეუოუმანდა, თითქოს შეკრთა) კაი და კეთილი, უფროსო, მარაა?..

მ ა ქ ს ი მ ე—ყური დამიგდე... (მისკენ დაიხარა, სჩანს რაღაც საიდუმლოს ეუბნება)

მ ა რ ი ნ ე—გავყვები, ბორის! შენ რას იტყვი?

ბ ო რ ი ს ი—რა უნდა გითხრა, მარინე! კიდეც რომ დაგიშალო, შენ მაინც შენსას არ დაიშლი!.. მხოლოდ გახსოვდეს, სად მიდიხარ, რა ბეწვის ხიდზე უნდა გაიარო!

ა რ ს ე ნ ა—ეს ყველაფერი კაი, უფროსო, მარა გზა რომ არ ვიცი?

მ ა ქ ს ი მ ე—მეგზურს გაგაყოლებ!

მ ა რ ი ნ ე—მე გავყვები, თუ შეიძლება! რაც მამაჩემი აქ გადმოიყვანეს, სულ ამ გზებზე დავდივარ!

მ ა ქ ს ი მ ე—აი ეს ჩინებულია!..

ა რ ს ე ნ ა—(ცივად) აჰ! არა შენი ჭირიმე, ქალი არა... მე ჩემი თავიც მეყოფა საპატრონოდ! მე თუ მკითხავთ, (გვერდით მდგომი ვეება ბეკოევი აათვალიერა) ეს აიხანაგი ყველას მირჩევნია...

მ ა ქ ს ი მ ე—არა... ამ საქმეში ქალი უფრო გამოდგება—ეჭვს ვერ მიიტანენ... (უბიდან პატარა რევოლვერი ამოიღო და მარინეს გაუწოდა) სროლა ხომ იცით?

მ ა რ ი ნ ე—ვიცი... (ბორისს) ხედავ? სად გამომადგა შენი გაკვეთილები! (რევოლვერი ხელში მოსინჯა. შეიარაღებულ რაზმელს თვალებახვეული უცნობი მეთაურისაკენ მოჰყავს.)

მ ა ქ ს ი მ ე—მაშ, ასე, ჯერ არლოვკაში შეხვალთ...

უ ც ნ ო ბ ი—(მეთაურის წინ შესდგა) არლოვკაში შესვლით კი შეხვალთ, მაგრამ ვაი რომ ვეღარ გამოხვალთ!..

მ ა ქ ს ი მ ე—(გაოცებული დაეცქერა, ხალხიც სულგანაბული შესცქერის) ვინ არის?

რ ა ზ მ ე ლ ი—წყაროსთან დავიჭირეთ, თქვენს უფროსთან წამიყვანეთო!

მ ა ქ ს ი მ ე—(ლაჟვებული) ვინა ხარ?.. საიდან ხარ?

უ ც ნ ო ბ ი—ჯერ დამანახვეთ, ვის ველაპარაკები, მერე გაიგებთ—ვინცა ვარ!

მ ა ქ ს ი მ ე—(რაზმელს) ჩამოხსენი! (რაზმელმა თვალსახვევი უმალ ჩამოხსნა: ხალხის წინ შურაევი სდგას) არლოვკიდან ხარ?

შ ურ ა ე ვ ი—დიახ, მგზავრი, სადგურში ჩავრჩი!

მ ა ქ ს ი მ ე—სადაური ხარ?

შ ურ ა ე ვ ი—შორიდან, სამუხ-აულიდან... მახმედ სელიმოვი აი ჩემი საბუთები (ქაღალდების მთელი დასტა გაუწოდა მეთაურს) ერთი თვეა გზაში ვარ. მაგრამ რა ცეცხლიც არლოვკაშა ვნახე, ღმერთო დამიხსენი! (მეთაური საბუთებს ათვალიერებს, თან მას უსმენს) წელან ყური მოვკარი იქ ვილაცას გზავნით... არამც და არამც! ტყუილად ნუ დაღუპავთ! გერმანელებმა სტანიცაში კაცის სახსენებელი გააქრეს, მაგრამ... ისინი თუ ძაღლები არიან, მათზე უა-

რესი ძაღლი ჩვენი კაცი გამოდგა... (ყველა დაბაბული უსმენს, მარინე განსაკუთრებით)

ხ ა ლ ხ ი—(ერთად აღმოხდათ) ვინა?

შ უ რ ა ე ვ ი—მოღალატე გამიგონია, მაგრამ ისეთი, როგორიც იქ გერმანელებს უშოვნიათ—ღმერთმა ყველა დაიფაროს!.. არავის ინდობს—არც ქალს, არც ბავშვს, არც მოხუცს... მთელი სტანიცა ააწიოკა... მერე ვინ! ჩვენივე სადგურის უფროსმა!

მ ა რ ი ნ ე—(თითქოს ბურანში იყო) ვინაო?.. ვერ გავიგე, ბორის!

მ ა ქ ს ი მ ე—რომელი სადგურის უფროსმა?!

შ უ რ ა ე ვ ი—არლოვკის უფროსმა, პირველსავე დღეს ჩემი თვალით ვნახე... (მარინე დაბაბული მისჩერებია. ხალხი სულგანაბული უსმენს) სადგურისკენ გერმანელების ჯავშნიანი დრეზინა მოჰქროდა, წინ ხიდი იყო აყრილი... უცებ საიდანღაც ის გამყიდველი გაჩნდა, წითელი ფანარი აუბრიალა და თორმეტი გერმანელი ჯარისკაცი და ერთიც მაიორი სიკვდილს გადაარჩინა!

მ ა რ ი ნ ე—(გაოგნებული, ხან ბორისს, ხან არსენას შესცქერის) ვინ გადაარჩინა?

შ უ რ ა ე ვ ი—სადგურ არლოვკის უფროსმა.

მ ა რ ი ნ ე—(თრთოლვამ აიტანა, მაგრამ თავი შეიმაგრა და ძლივს შეეკითხა) თქვენ უთუოდ გეშლებათ... მისი სახელი? რა გვარია?

შ უ რ ა ე ვ ი—ვერ დავიხსომე, რაღაც უცნაური გვარი აქვს... მაგრამ ქართველი რომ არის,—ეს დანამდვილებით ვიცი!..

მ ა რ ი ნ ე—(ველარ გაუძლო, ერთბაშად აილეწა, ტანი ფოცხვერივით ძაბგრა და მისკენ გაქანდა) ვინ? მამაჩემი... მოღალატე? როგორ ბედავ, შე საზიზღარო? (შურაევს სილა გააწნა, ხალხი შეჩოჩქოლდა)

ბ ო რ ი ს ი—მარინე!

ქ უ რ ქ ი ა ნ ი მ გ ზ ა ვ რ ი—ბოდიში, მაგრამ მეც დავინახე! სადგურს რომ გამოვცილდით, საღამო იყო... აშკარად სჩანდა, ვიღაცამ წითელი ფანარი ასწია!

მ ა რ ი ნ ე—(გარინდდა, რევოლვერი ხელიდან გაუშვა და ბორისის მხარს მიეყრდნო) არ დაიჯერო, ბორის, არ დაიჯერო!

შ უ რ ა ე ვ ი—(რევოლვერი აიღო და ბორისს მიაწოდა) მამა რომ მოღალატე იყოს, შვილისა რა ბრალია. (ბორისმა რევოლვერი მეთაურის წინ გადახერხილ ხეზე დასდო)

ა რ ს ე ნ ა—(არჩილს ხელი წაავლო, განზე გაიყვანა) მომკალი და ამას ვერ დავიჯერებ... ვინ? ლევან ჩადუნელი და მოღალატე? მაშინ მეც მოღალატე ვყოფილვარ!..

მ ა რ ი ნ ე—(ბორისი არ უშვებს) არა, ბორის, ნუ მაჩერებ! (ცდილობს გაუსხლტეს) ჩემი თვალით უნდა ვნახო ჩემი უბედურება... (ერთბაშად გაახსენდა) გახსოვს? მამაჩემმა რომ მოულოდნელად მაკოცა!.. იქნებ მაშინვე ჰქონდა გადაწყვეტილი... თუმცა, რას ვამბობ, ღმერთო ჩემო... ეს შეუძლებელია!.. (მეთაურს მიუბრუნდა) წავალ, თქვენ ხომ თვითონ დამავალეთ წავსულიყავი! ერთსაც შევიტყობ, მეორესაც...

მ ა ქ ს ი მ ე—(რევოლვერი აიღო, ჯიბეში ჩაიდო) არა, თქვენი იქ წასვლა ახლა აღარ ივარგებს! თანაც აღელვებული ხართ, დამშვიდდით, მაგას ახლავე გამოვარკვევთ... (შურაევს) თქვენ, მოქალაქე... ერთი ჩემთან წამოდით, (ქურქიან მგზავრს) თქვენც, ამხანაგო! (გავიდა შურაევი, ქურქიანი მგზავრი გაჰყვა)

მ ა რ ი ნ ე—ხედავ, ბორის, აღარ მენდობიან!.. იქნებ შენც... ხმა ამოიღე, რას გაჩუმებულხარ? (ხალხს უმწეოდ მოავლო თვალი) ხალხო!.. (პაუზა, ყველა სდუმს) არსენ! შენ მაინც რაღამ დაგამუნჯა? მე ჯერ დაბადებულიც არ ვიყავი, როდესაც შენ და მამა ერთმანეთს იცნობდით... მითხარი: შენ მითხარი, მამაჩემი და მოღალატე? (ძირს დაეშვა)

ა რ ს ე ნ ა—მარინე, შვილო!.. (წამოაყენა, მოუალერსა)

ბ ო რ ი ს ი—(მკლავზე ხელი მოხვია) დამშვიდდი, მარინე! მე თვითონ წავალ, ყველაფერს გავიგებ!.. (განზე გაიყვანა... ორივე ცეცხლთან წაქცეულ ხეზე ჩამოსხდნენ... მარინე ტირის. ბინდი ეშვება)

ა რ ჩ ი ლ ი—(არსენასთან განმარტოებით) ქართველ ქალს ვენაცვალე, როგორ არწივივით მიაფრინდა!.. თუმცა.. ვინ იცის, ამ ქარიშხალს რამდენი ფესვი ვერ გაუძლებს, რამდენი ტოტი ჩამოტყდება...

ა რ ჩ ი ლ ი—ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი გინდა ხისაო,—ხომ გაგიგონია!.. (ბეკოევი და ქურქიანი მგზავრი არჩილის გვერდით ჩამოსხდნენ)

ა რ ს ე ნ ა—(შურაევს) ასთეა, დიახ!.. და ჩვენს მტერსაც მალე დედა ეტირება... (ბინდი ეშვება)

გ უ შ ა გ ი—ცეცხლი ჩაანელეთ, ხომ ხედავთ, დაღამდა! (ცეცხლს ყველგან აქრობენ, ტყეში ჩამობნელდა, ხეებს შორის მხოლოდ ჩრდილები ღა სჩანან. ნაღვლიანი სიმღერა გაისმა და მალე ისევ მიხწყდა. ტყემ მიიძინა, მხოლოდ ერთი ჩრდილი შეირხა გორაკის ძირას, ბილიკი აირბინა, კოშკთან გაჩნდა, მაგრამ ვიღაცამ გზა გადაუჭრა და ჯიბის სანათური მიანათა)

შ უ რ ა ე ვ ი—ვინ ხარ? სად მიდიხარ? (ხელი ჩაავლო)

მ ა რ ი ნ ე—თუ კაცი ხარ, გამიშვი... მამა არა ყოფილხარ? შვილი არა გყოლია?

შ უ რ ა ე ვ ი—ოჰო, შენა?! (გესლიანად) მამაშენი მოგენატრა?

მ ა რ ი ნ ე—გამიშვი, გევედრები! ხვალვე დავბრუნდები... გამიშვი, თუ ადამიანი ხარ!

შ უ რ ა ე ვ ი—წელან სილა გამარტყი, აღელვებული იყავ და გაპატიე... წადი, ოღონდ, მე რომ მნახე, არავის უთხრა. (მარინე დალმართზე დაქანდა და უმალვე სიბნელეში გაჭქრა. შურაევი მბეუტავ ცეცხლთან ვიღაც მძინარესთან მიიჭრა) თოფი არა გაქვს?

ხ მ ა—არა!..

შ უ რ ა ე ვ ი—(ბილიკი ჩამოირბინა, მეორე კოცონთან მძინარეს თოფი აართვა და დასცალა) მეთაური სად არის? მეთაური გააღვიძეთ! (ხალხი სიბნელეში წამოიშალა)

მ ა ქ ს ი მ ე—თოფი ვინ გაისროლა!

შ უ რ ა ე ვ ი—ფეხის ხმამ გამაღვიძა, სიბნელეში ძლივს გავარჩიე, მგონი, სადგურის უფროსის ქალიშვილი იყო... დავუძახე, გაჩერდი-მეთქი, არ გაჩერდა... ვერ დავეწიე და თოფი ვესროლე შესაშინებლად.

ბ ო რ ი ს ი—ამხანაგო უფროსო, ნება მომეცით... მე დავაბრუნებ, ცოდვაა, ტყუილ-უბრალოდ დაიღუპება!

მ ა ქ ს ი მ ე—წადი!.. მოიცა, რახან მიდიხარ, ეცადე სადგურის უფროსის ამბავიც შეიტყო!

ბ ო რ ი ს ი—დარწმუნებული იყავით, ყველაფერს გავაკეთებ... (ჩაბნელებულ ტყეს შეერია)

შ უ რ ა ე ვ ი—(თოფი პატრონს მიაწოდა) გეძინა, მგონი, შენი უნდა იყოს!

მ ა ქ ს ი მ ე—ეძინა? როგორ თუ ეძინა! მაშ, ეს თოფი დღეიდან შენია, არსენ... იცოდე, იარაღს ფხიზელი პატრონი უყვარს!

გ უ შ ა გ ი—(იმავე გუშაგმა, ვინც შურაევი წარუდგინა უფროსს, ახალგაზრდა ქალი შემოიყვანა: ეს ის ქალია, მეფანდურესთან რომ ყოველდღე პური მიაქვს) ამხანაგო უფროსო, აი ეს ქალიც წყაროსთან დავაპატიმრე, თქვენს უფროსთან მიმიყვანეო... გაჩხრეკა მინდოდა, არ დამანება!

ლ ი ზ ა—(გუშაგს ცერად გახედა) მერე და... ჩხრეკა ასე უნდა?! (მეთაურს) ამხანაგო უფროსო, ამ თქვენს გუშაგს ასწავლეთ, რომ ღლაბუცსა და არშიყობას ომი რომ გათავდება, მერეც მოესწრება! (გუშაგს შეუბღვირა) დიახ, ამხანაგო!

გ უ შ ა გ ი—(გაწბილებული) ამხანაგო უფროსო...

მ ა ქ ს ი მ ე—(შეაწყვეტინა) კმარა... საგუშაგოზე!.. (გუშაგი გატრიალდა, ლიზას) მაგას მერე ვასწავლი ჭკუას... თქვენ საიდან, ამხანაგო? (შურაევი ქალს ახლო-მახლო უვლის)

ლ ი ზ ა—(ხალხს გადახედა) პირადად თქვენთან, თუ შეიძლება!

მ ა ქ ს ი მ ე—(შურაევს და სხვებს) დაგვტოვეთ! (განზე გადგნენ)

ლ ი ზ ა—(ხმადაბლა) ყაზბეგი!

მ ა ქ ს ი მ ე—(გახარებული) ყაზბეგი ვარ! (ლიზამ ბარათი გაუწოდა, მეთაურმა სწრაფად წაიკითხა, სახე გაუნათდა) ცოცხალია!.. (ბეკოევს, რომელიც შორი-ახლო შურაევს ესაუბრება) ამხანაგო ბეკოევ, ეს ამხანაგი მოასვენეთ!.. (ბეკოევმა ლიზა მიწურისაკენ, წაიყვანა)

შ უ რ ა ე ვ ი—(ცბიერად) თუ რამე ცუდი ამბავია, მზადა ვარ ამხანაგო უფროსო!

მ ა ქ ს ი მ ე—ცუდი არაფერია... ამხანაგებს გადაეცი, სურსათიცა და იარაღიც რამდენიც გვინდა, იმდენი გვაქვს. (კოშკში შევიდა)

ა რ ჩ ი ლ ი—(მბეუტავ ცეცხლს ირგვლივ უსხედან არსენა, ბეკოევი,

ქურქიანი მგზავრი და არჩილი) ჰო და... თებერვლის რევოლუციის წინა დღეებში... (მათ შურაევი შეუერთდა) ის სტუდენტი, თურმე, თვითონ მეთაურობდა სტუდენტების წრეებს. ფარული სტამბა მოუწყვია, იარაღიც კი უშოვნია მათთვის... და იცით? რევოლუციის შემდეგ რა აღმოჩნდა? აღმოჩნდა, რომ სწორედ ეს სტუდენტი ოხრანკის თანამშრომელი იყო... მაშ?!

შ ურ ა ე ვ ი—ჰო და, ღმერთმა აგაშენა... კაცს ნურაფერი გაუკვირდება...

ა რ ჩ ი ლ ი—მერე ის სტუდენტი თვითონ სტუდენტებმა მოჰკლეს, თურმე!

შ ურ ა ე ვ ი—მეც მაგას ვამბობ!.. მთის ხალხის სირცხვილი ჩვენვე, მთის ხალხმა უნდა ჩამოვიწმინდოთ!.. (არჩილს) წელან შენ ჩინებულად სთქვი: ვინც მოღალატეს დაინდობს, ის თვითონ მოღალატეაო... ხომ ეგრეა? რას იტყვით, ხალხო?..

ყ ვ ე ლ ა ნ ი—ეგრეა... ეგრეა!..

შ ურ ა ე ვ ი—ეგრეა და რაღას ვუცდით! სხვის ბრძანებას რომ ვუცადოთ, ეს რაღა ჩვენი კაცობა იქნება?! ავიღოთ და კენჭი ვყაროთ!.. (არჩილს) ერთი ფურცელი ქაღალდი გექნება!.. (თვითონ ფანქარი ამოიღო, არჩილმა ქაღალდი მიაწოდა) რამდენი ვართ? ხუთნი.

ა რ ჩ ი ლ ი—(ჭირვეულად) ცოტა ჩქარა, შე კაი კაცო... რა სული ამოგვხადე!..

შ ურ ა ე ვ ი—(ქაღალდი ხუთად გახია. ქუდში ჩაყარა და ყველას გაუწოდა) ვისაც ჯვრიანი შეხვდება! (არსენა წამოდგა, უკან დაიხია)

ა რ ჩ ი ლ ი—(ქაღალდი ამოიღო) ჩემი ცარიელია!

ბ ე ქ ო ე ვ ი—ჩემიც ცარიელია...

შ ურ ა ე ვ ი—ჩემიც...

ქ ურ ქ ი ა ნ ი მ გ ზ ა ვ რ ი—ჩემიც...

შ ურ ა ე ვ ი—(არსენას მიუახლოვდა, ქუდი გაუწოდა) ბედი გქონია, ძმობილო ბედი... თოფიც რომ დროზე მიიღე?!

მ ა ქ ს ი მ ე—(შეუმჩნევლად თავს წამოაღგა) ამოიღე, არსენ, რაღას უყურებ?

ა რ ს ე ნ ა—(შეკრთა) ამხანაგო უფროსო...

მ ა ქ ს ი მ ე—მე რაღა უფროსი ვარ, განაჩენი უჩემოდ გამოგიტანიათ!..

შ ურ ა ე ვ ი—მაპატიეთ... რა ვქნათ, ასეთია ჩვენი—მთიელების სამართალი...

მ ა ქ ს ი მ ე—(მტკიცედ) სანამ ბორისი ამბავს მოიტანდეს, თქვენ ამ წილადობილას თავი გაანებეთ... აქ ჯერჯერობით, მეთაურიცა და მოსამართლეც მე ვარ, სელიმოვ!..

ფ ა რ დ ა

მეორე სურათი

კუზმიჩის ბინა—ჩვეულებრივი რუსული ქოხი, თეთრად შეღებილი კედლები, დიდი ღუმელი. ტახტის წინ, მაგიდაზე, სამოვარი ჩაის ჭურჭლით, ერთ ერთ კედელზე მოზრდილი სარკე და გვერდით—გრძელი წითლად ნაქარგი პირსახოცი. ფანჯარაზეც წითლად ნაქარგი ფარდები. ქოხის ერთ კუთხეში ხატის წინ ანთებული კანდელი.

პ ე ლ ა გ ი ა—ჟამიანობა იწყება, ნამდვილი ჟამიანობა, ეტყობა, ღმერთმაც დაგვივიწყა...

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა ქ ა ლ ი—ღმერთი არაფერს გვიშველის, დეიდა პელაგია... ჩვენს თავს ჩვენვე უნდა ვუპატრონოთ...

ნ ა ტ ა ლ ი ა—ჩვენ უბედურებს რა შეგვიძლიან?

პ ე ლ ა გ ი ა—როგორ თუ რა შეგვიძლიან? ვისაც შეუძლიან—ხელი გაიქნიოს, ვისაც მკლავი არ ერჩის—ილოცოს, ვისაც ლოცვა არა სწამს—იტიროს... იტიროს, ცრემლი ქალის გულის სალესავია, მტერს უფრო შეგვაძულებს, სიმართლეს არ დაგვიკარგავს...

ნ ა ტ ა ლ ი ა—ეეხ, სიმართლე სად არის, პელაგია?..

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა ქ ა ლ ი—მაშ, ჩვენი ჯარი, მთელი ჩვენი ქვეყანა რისთვის იბრძვის?—სიმართლისათვის!.. ეგ აღარა სთქვა, დეიდა ნატალია!..

მ ო ხ უ ც ი ქ ა ლ ი—(შემოდის ტირილით) პელაგია, დავიღუპე!.. ჩემი ცალფეხა ანდრიუშა რაღას უშავებდათ? ჯარში ნამყოფი ხარო, სტაცეს ხელი და ცემა-ტყეპით წინ წაიგდეს... (იატაკზე დაეცა) ვაიმე, ვაიმე, შვილო...

პ ე ლ ა გ ი ა—(პირჯვარი გამოისახა) ღმერთო, მტერს ჩვენზე ნუ გაახარებ!..

ყ ვ ე ლ ა ნ ი—ღმერთო, გვისმინე!.. (გერმანელი ჯარისკაცი შემოვარდა)

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი—(ქალებს ავი თვალით გადახედა, მერე პელაგიას შეუტია) რა გაღრიალებთ! თქვენ ამ დროს ძილი გაქვთ ნაბრძანები! დღეიდან გიცხადებთ: არც ღამით, არც დღისით სახლის კარი არ დაკეტოთ, რომ პატრულს ყოველთვის შეეძლოს შემოსვლა. ახლა კი დაიშალენით.

პ ე ლ ა გ ი ა — თქვე ულმერთონო, ლოცვასაც აღარ გვანებებთ! (ჯარისკაცმა კიდევ შეავლო თვალი ქალებს)

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი—დაიშალენით მეთქი! (გავიდა)

ყ ვ ე ლ ა ნ ი—ღმერთო, მტერს ჩვენზე ნუ გაახარებ!..

კ უ ზ მ ი ჩ ი—(შემოვიდა, ქალებს შეუბღვირა) როგორ არა, ღმერთს თქვენს მეტი საქმე არა აქვს... (ჩიბუხი გააჩაღა, ქალები აიშალნენ. პელაგიამ ისინი კარამდე მიაცილა) ქუჩაში გუშაგები დადიან, გზები შეჭკრეს... სტანიცაში ოცი კაცი-ღა იყო დარჩენილი, ოცივე დააპატიმრეს... თუ ზეგამდე რაიკომისკომდივანს ან ცოცხალს, ან მკვდარს არ ჩაგვაბარებთ, ყველას ჩამოვაღრჩობთო...

პ ე ლ ა გ ი ა—თუ კი თვალითაც არ გინახავს, საიდან უნდა ჩავაბაროთ?

კ უ ზ მ ი ჩ ი—არ ვიცი... (დედაკაცებს) ეზო-ეზო წადით, თორემ ღმერთი ვეღარაფერს გიშველით, ლოცვა ძვირად დაგიჯდებათ!..

პ ე ლ ა გ ი ა—(შეუტია) ნუ სცოდავ, შე სულწაწყმედილო. (დედაკაცები გავიდნენ)

კ უ ზ მ ი ჩ ი—საჭმელი თუ არაფერი გაქვს, ცხელი წყალი მაინც დამალევინე!..

პ ე ლ ა გ ი ა—(კარადიდან პური და მოხარშული კართოფილი ამოიღო, შუშის ქილაში ცხელი წყალი დაუსხა) რატომ შენს ძველს მეგობარს არ ესტუმრები! გერმანული კუპატებით უხვად გაგიმასპინძლდებოდა.

კ უ ზ მ ი ჩ ი—(თავი გაიქნია, ჩიბუხი გააბოლა) ღმერთსა ლოცულობ, და ღმერთი კი არ გაგაჩნია... ენა დააყენე, დედაკაცო!..

პ ე ლ ა გ ი ა—არა, მასთან დამოყვრებასაც რომ აპირებდი?! კარგი ნათესავი კი გვეყოლებოდა! (პაუზა) აკი ახალგაზრდობაშივე პარტიის კაცი იყოვო!.. მე მაშინაც არა მჯეროდა, მაგ უწმინდურს, იმ წმინდა ხალხთან რა უნდოდა?! (კუზმიჩი ჩიბუხს აბოლებს, ბოღმას ებრძვის) მაშინ ძალიან ბრტყელ-ბრტყელს ლაპარაკობდი, ახლა ენა რად ჩაგივარდა მუცელში? (კუზმიჩმა ჩიბუხი ჩაანელა, პელაგია კიდობანში რაღაცას ეძებს. ერთმანეთზე ასხმული ჯვარ-მეჯლები იატაკზე გადმოყარა) რა ეშმაკად გინდა, რომ ამ ჯვარმედალს ინახავ? ბავშვები გინდა გააკვირვო? აკი მუსრს ვავლებდი გერმანელებსაო! თუ მაშინ ისეთი ვაჟკაცი იყავი, ახლა რაღა ღმერთი გაგიწყრა? ქვეყანაზე ვინ არ დაბერებულა, მაგრამ თავისი კაცობა და სახელი არ შეურცხვენია!..

კ უ ზ მ ი ჩ ი — ლუკმა შემარგე, დედაკაცო! (ჯვარმეჯლები აკრიფა, მაგიდის უჯრაში ჩაყარა)

პ ე ლ ა გ ი ა—კაცი მე უნდა ვყოფილიყავი, შენ კი არა! მთელი სტანიცა ააწიოკა, სულ იმის ოინია, რაც აქ უბედურება დატრიალდა! აგრონომი იყო—დააპატიმრეს... მეტყევე იყო—წაიყვანეს... მოხუცი მასწავლებელიც კი არ დაინდვეს! იმ დღეს წყალზე მივედით — იმ შეჩვენებულმა წყალი არ დაგვანება!.. კიდევ კარგი, ხალხის წყევლა-კრულვას ვერ გაუძლო, დაკეტილი წყალსადენი თითონვე გაახსნევინა გერმანელებს!.. (პაუზა) სტანიცაში შენს მეტი კაცი აღარ დარჩენილა, ყველას შენი იმედი აქვს, შენ კი, პირიქით, იმ გამყიდველს ემსახურები...

კ უ ზ მ ი ჩ ი—(შეღონებული) დედაკაცო, ეს ცხელი წყალი ცხვირში ნუ ამომადინე!

პ ე ლ ა გ ი ა—(უფრო გაავებული) ღვთის მონასავით უკან დასდევ... ხან ხიდს გაშენებინებს, ხან მიწას გაზიდვინებს, მალე ჩექმებსაც დაგაწმენდინებს!.. თვითონ გერმანელებს მიჰყიდა სული და ხორცი, იქნება, ახლა შენც მიგაყიდვინოს! ხალხმა რამდენჯერ გამაგონა—თქვენი ოჯახის მეგობარი იყოო... ვინ იცის, ახლაც შენი მეგობარი ჰგონიათ!

კუზმიჩი—(მოთმინება დაკარგული) დედაკაცო, რას გადამეკიდე, რა გინდა ჩემგან?

პელაგია—ვერ გაიგე, რაც მინდა? მაგ გამოჩურჩუტებულ თავს რას უფრთხილდები? (კარის გაბმული კაკუნი გაისმა, დუმილი ჩამოვარდა, კაკუნი განმეორდა. პელაგია კართან მივიდა) ვინა ხარ?

ქალის ხმა—გამიღეთ, მე ვარ! (თავშალმოხვეული მარინე ისე შემოვიდა, თითქოს უკან ვინმე მოსდევდა, მოხუცები სახტად დარჩნენ) საღამო მშვიდობისა (პასუხი არ მიიღო და გაწბილებულმა ჯერ კუზმიჩს, მერე პელაგიას შეხედა) დეიდა პელაგია, ვერ მიცანით?

პელაგია—(დაურიდებლად) შენი მამის შვილი ძნელი საცნობი არ არის!

კუზმიჩი—დედაკაცო!

პელაგია—გაჩუმდი! ისიც მეყოფა, რომ ჩემს ოჯახს კინაღამ თავი არ მოეჭრა!

მარინე—(ხმა აუთრთოლდა) ბიძია კუზმიჩ, მაშ, მართალია? (ხანგრძლივი პაუზა)

კუზმიჩი—(გულშემატკივრად) მართალია... შვილო...

პელაგია—(კუზმიჩს მკაცრად) ბარემ დედაბერივით ატირდი! (ზურგი შეაქცია)

მარინე—(უმწეოდ აქვითინდა) მამავ, მამავ... ყველგან ასე როგორ დამიკეტე კარი!.. (გარეთ გავარდა)

კუზმიჩი—რამ გაგაცოფა დედაკაცო, ასე რამ გადაგრია?..

პელაგია—(მიიხედა, მარინე ვერ დაინახა) რა იქნა? წავიდა? (შეწუხებული) შენზე გაბრაზებულმა, იმასაც გული ვატკინე!.. (შეეყუმანდა) ხესავით რომ აყუდებულხარ, ეგრე როდემდე უნდა იდგე? დაიძარ-მეთქი, კაცო!.. ამ შუალამისას ვისთან უნდა მივიდეს? ჩვენს მეტი ვინ გააჩნია?

კუზმიჩი—შენ დედაკაცი კი არა, ქაჯი ხარ, ქაჯი!.. (კედლიდან ჯუბა ჩამოიღო)

პელაგია—რომ მიდიოდა, რატომ შენ მაინც არაფერი უთხარი?.. შე უბედურო, შენ რომ საქვეყნოდ თავი მოგეჭრას, შენი შვილისა რა ბრალია!

ბორისი—(უცებ შემოაღო კარი) დედავ, მამავ... მარინე არ მოსულა?

პელაგია—ბორის, შვილო! ახლა აქ რამ მოგიყვანა?..

ბორისი—დედავ, მარინეს გეკითხები... აქ არ მოსულა?

კუზმიჩი—ეს არის გავიდა... აღელვებული იყო... ვერაფერი მოვახერხეთ...

ბორისი—მერე და... რად გაუშვით, რატომ კარი არ დაუკეტეთ?

პელაგია—დარდმა გადამრია... ჩემი ბრალია შვილო...

ბორისი—(წასვლა

მოქმედება მესამე

პირველი სურათი

დაბურული ტყე. მარცხენა მხარეს მაღალი, ჩამოლესილი კლდე და შიგ დაბალჭერიანი გამოქვაბული. შემოსასვლელს კაცის სიმაღლე ლოდი ნახევრად ფარავს. მარჯვენა კედელში სამზირი, საიდანაც ძირს დაფენილი ტყე მოხჩანს. სამზირის პირდაპირ სერგეი პეტროვიჩი თივაზე წევს. გამოქვაბულში შუაცეცხლის მკრთალი სინათლეა.

სერგეი—(მოუსვენრობა ეტყობა, შემოსასვლელს მალიმალ აცქერდება; გულმა აღარ გაუძლო, წამოდგა, ჯოხი მოიშველა და სამზირთან კოჭლობით მოვიდა. რადიო-მიმღების ზუზუნი გაისმა, მაშინვე აპარატს მიუჯდა) უაზბეგი გისმენთ! უაზბეგი ვარ! (უსმენს, ქაღალდზე რაღაცას სწერს. მიმღების ტარი გადასწია) ყველაფერი, რაც თქვენ ბრძანეთ!... უკეთესად ვარ... შემიძლია დიახ, შემიძლია!.. (წამოდგა. სახეზე ნათელი მოეფინა) რა გულთამხილავი კაცია ეს მარჯვენა-დალოცვილი!..

ხმა გარედან—უაზბეგი!

სერგეი—უაზბეგი ვარ (შემოტრიალდა)

ლევანი— მიხარიან, ფეხზე რომ გხედავთ...

სერგეი—რად დაიგვიანე?

ლევანი—უფრო ადრე ვერ მოვახერხე, ამხანაგო სერგეი! (ქაღალდი გადასცა, სერგეი უმალვე კითხვას შეუდგა)

სერგეი—(სახე გაუნათლდა) ელექტროსადგურიც აუფეთქებიათ... ყოჩაღ ივანოვ! კარგად მუშაობს ჩემი მესამე მდივანი!.. როდესაც მტრის ზურგში მისი დატოვება გადავწყვიტე, ზოგიერთები ყოყმანობდნენ—ახალგაზრდა კაცია, გამოუცდელი არისო... ხედავ რამოდენა საქმეს აკეთებს!.. კიდევ რას მეტყვი, ამხანაგო ლევან...

ლევანი—ეტყობა, ამ უბანზე მაშველი ჯარი მოჰყავთ... სწორედ ამიტომ დამაგვიანდა—ამაღამინდელი ეშელონების ცხრილის გაგება მინდოდა... მთელი ღამე მორიგე ოფიცერს ვეხმარებოდი...

სერგეი—(მოუთმენლად) მერე?

ლევანი—(მეორე ქაღალდი გადასცა) აი ეს არის!

სერგეი—(ქაღალდს თვალი გადაავლო) ოო, რა დროზე მომიტანე... ამხანაგო ლევან! ამაღამ სამივე ეშელონი შენს ჭირს წაიღებს... ახლა მხოლოდ ის ამბავი მაწუხებს—რომელმა ჭკუათამყოფელმა მოიფიქრა, იმ თითისტოლა ბიჭისათვის ამისთანა დავალება მიეცათ! მე აკი ლებედევს პირდაპირ მივწერე—პავლიკა ამფეთქებელთა ჯგუფში არ შეეყვანათ!

ლევანი—მართალი ხართ, სერგეი პეტროვიჩ, მაგრამ... მანამდე ორი კაცი ჩავარდა, თურმე!

სერგეი—მერე? შეეშინდათ? ორი კი არა, შეიძლება ოთხიც ჩავარდნილიყო!.. როდესაც საქმე მოითხოვს, მხოლოდ მსხვერპლს როდი ანგარიშობენ?! მათ დავიწყებიათ, რომ ბრძოლის ველზე ჯერ გამარჯვებას სთვლიან, დანარჩენს—მერე!.. ახლა? ის ბიჭი რომ გატეხონ, მსხვერპლი ხომ გაცილებით მეტი იქნება?! (მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ლევანს თავი შეხვეული აქვს) ეს რა არის?

ლევანი—ბედნიერი შემთხვევა, რამაც უბედურებას გადაგვარჩინა.

სერგეი—რა ბედნიერმა შემთხვევამ, რომელ უბედურებას?!

ლევანი—არაფერი... პირადი ამბავია... (ხელი შეაშველა) ჩამოვსხდეთ ფეხი გეტკინებათ!

სერგეი—(ხელი მოიცილა) არ მომწონს, რა პირადი ამბავი? დღეს მე და თქვენ პირადი ცხოვრება აღარ გაგვაჩნია!.. როდესაც კაცი საქვეყნო უღელში შეებმება, მის პირად ტვირთსაც საქვეყნო ფასი ედება... ჩვენ ახლა ერთი დიდი ჯაჭვის რგოლები ვართ, საკმარისია, რომელიმე ჩვენგანი მოულოდნელად ამოვარდეს, ჯაჭვი უმალვე

გაწყდება, დროებით მაინც გამოვა წყობილებიდან... მერე? განა ეს ჩვენს საერთო საქმეს არ დაეტყობა?

ლ ე ვ ა ნ ი—ამხანაგო სერგეი, კი არაფერს გიმალავთ... მე მხოლოდ...

ს ე რ გ ე ი—(სიტყვა გააწყვეტინა) ღვთის გულისათვის, გთხოვთ... ეს რა არის?

ლ ე ვ ა ნ ი—წუხელ სტანიციდან მოვდიოდი... (ხელი შეაშველა, ლოდზე ჩამოსხდნენ) ისე მომეჩვენა,—თითქოს უკან ვიღაც მომდევდა... მივიხედე,—არავინ იყო. ბოგირს რომ გადმოველი, რაღაც შრიალი მომესმა, მიხედვაც ვერ მოვასწარ, ორი ქვა ზედიზედ მომხვდა!—მოკვდი ძაღლო, ქალის ხმა გავიგონე და თხრილში ჩავიჩეხე... ეტყობა, გერმანელი ჯარისკაციც კვალდაკვალ მომდევდა, მომეშველა და სადგურში მიმიყვანა... სჩანს, ამ ბოლო დროს, ერთთავად მითვალთვალებენ... გუშინ თვითონ მაიორიც ალმაცერად მიცქერდა, თითქოს რაღაც ეჭვი ჰქონდა... ღმერთმა იმისი ოჯახი ააშენა, ვინც ის ქვა მესროლა,—დღეს ისევ ერთბაშად დამიტკბა, ღვთის წყალობა არ დამაკლო, არაყიც კი შემომთავაზა...

ს ე რ გ ე ი—გუშინ რაღა ცოფი ჰქონდა დალეული?

ლ ე ვ ა ნ ი—ნამდვილად დაცოფილსა ჰგავდა! რაც ის ეშელონი აფეთქდა, ყველას ულრენდა, თავისიანებსაც აღარ ინდობდა... ახლა კიდევ თქვენს კვალს მიაგნეს!.. სანამ მკვდარი ეგონეთ,—მოსვენებით იყვნენ... მერე ასე ეგონათ, თქვენც ტყეში იყავით, და შფოთვა დაიწყეს... გუშინდელს აქეთ კი, რადგან დარწმუნდნენ, რომ ამ სტანიციაში იმალებით, ცეცხლი მოეკიდათ!

ს ე რ გ ე ი—ნამდვილად კი დარწმუნდნენ, რომ ამ სტანიციაში ვარ?

ლ ე ვ ა ნ ი—ნამდვილად, სერგეი პეტროვიჩ! დღე ერთია და ჩხრეკა ათასი, ლამის მიწა გადათხარონ...

ს ე რ გ ე ი—ჩვენს ფოსტალიონს ხომ არაფერი დაემართა?

ლ ე ვ ა ნ ი—არაფერი... ო, ის ბრმა რამდენ თვალხილულსა სჯობია... გერმანელები გუმანსაც არ არიან... მაიორმა მხოლოდ ერთხელ მკითხა, ეს ბრმა რა ერთთავად სადგურში გდიაო... რა ქნას, უპატრონოა, წინათაც ასე

მათხოვრობით ცხოვრობდა-მეთქი... მერე აღარ უხსენებია.

ს ე რ გ ე ი—(დაფიქრდა) ცუდი ნიშანია... ტყეში თუ თავისი კაცი არა ჰყავთ შეგზავნილი, მაშ საიდან დარწმუნდნენ, რომ იქ არა ვარ?

ლ ე ვ ა ნ ი—უთუოდ ასეა! ჩვენებმა რამდენი მზვერავიც გამოგზავნეს, ყველა ხელში ჩაუვარდათ, თითქოს წინდაწინვე იციან ყველაფერი! (წამოდგა, სამზირში გაიხედა) თუ ასე გაგრძელდა, ყველანი დაიღუპებიან...

ს ე რ გ ე ი—(თითქოს მიხვდა, აღგა, მიუახლოვდა) შენი ქალიშვილიც მგონი, მათთან არის, არა?

ლ ე ვ ა ნ ი—(ნაღვლიანად) დიახ...

ს ე რ გ ე ი—(მხარზე ხელი დაადო) მე ყველაფერი მესმის, ამხანაგო ლევან! ისიც ვიცი—მამის დარდს კაცის სიტყვა წამლად ვერ დაედება... მხოლოდ იცოდე, დღეს ჩვენს შორის ძნელად მოიძებნება ადამიანი, ვისთვისაც ამ საქვეყნო განსაცდელს პირადი უბედურება არ დაეევიწყებინოს. (ფიქრს მიეცა) შარშან ზამთარს ქალაქ როსტოვში ასეთი ამბავი მოხდა: გერმანელებმა ქალაქში ჩარჩენილ მცხოვრებლებზე ასორმოცდაათი გრამი პური დააწესეს დღეში... ასორმოცდაათი გრამი ქატო და ნახერხი, რომ ნელ-ნელა სიმშილით ამოეხოცნათ... (სახე მოეღრუბლა) ერთ გულკეთილ ქალს, რომელსაც ოჯახში შვიდი წლის ვაჟის მეტი არავინ გააჩნდა, დაჭრილი წითელარმიელი დაუმალავს სარდაფში, იმ ერთ მუჭა ქატოს სამი სული იყოფდა... ასე მიათრევდნენ გაწამებულ სიცოცხლეს სიცივესა და სიმშილში, სანამ იმ სამში, ყველაზე ადრე ყველაზე ახალგაზრდა არ დაიღუპა... და იცი? იმ უბედურ დედას შვილის სიკვდილი არავისათვის გაუმხელია, თვენახევრის განმავლობაში მიცვალებული შინ ესვენა, რომ მისი წილი ასორმოცდაათი გრამი ქატო ისევ მიეღო და დაჭრილი წითელარმიელი სიმშილისაგან სიკვდილს გადაერჩინა... (ხმა გაებზარა, სახე მოარიდა, თითქოს ცრემლის დამალვა უნდოდა) ლევან, ის დედა და შვილი ჩემი ყველაზე მახლობელი და ძვირფასი ადამია-

ნები იყვნენ... ჩემი ცოლი და... ჩემი შვილი! (ხანგრძლივი პაუზა)

ლევანი — მაპატიეთ, სერგეი პეტროვიჩ!.. ჩემმა დარდმა თქვენი დარდი გააღვიძა... თუმცა მაგ დარდს კაცის გულში რა დააძინებს!... მე განა არ ვიცი, რაც მიამბეთ, რისთვისაც მიამბეთ?.. მაგრამ გეფიცებით, არც ჩემი თავი, არც ჩემი შვილი მე არ მენანება! ახლა თუ ასე გამიჭირდა, ალბათ—იმიტომ, რომ ჩემს სიცოცხლეში ასე ორადგაყოფილს არასოდეს არ მიცხოვრია!.. ვინც მიყვარდა,—სიყვარულს პირში ვეუბნებოდი, ვინც მძულდა, იმასაც პირში ვაფურთხებდი.. ახლა კი, ეს რა წისქვილის ქვა დაბრუნდა ჩემს თავზე? აქეთ მტერი უნდა დავარწმუნო, რომ მისი ერთგული ვარ... იქ კიდევ სოფელი უკან მომდევს და მომძახის: სამშობლოს გამყიდველო! განა სიკვდილისა მეშინიან, სერგეი პეტროვიჩ, მაგრამ ჩემს გულშიც ჩაიხედეთ!

სერგეი—ამხანაგო ლევან, ჩვენთვის ახლა სიკვდილი ადვილია და ეს უფრო ნაკლები ვაჟკაცობა იქნება, ვიდრე შენი დღევანდელი სიცოცხლე, რომლის ყოველი დღე და საათი შენი ნებისყოფის, შენი გულისა და გონების უდიდესი გამოცდაა... განა ყველა რკინა რკინად დარჩება ცეცხლის შემდეგაც? (პაუზა) ამიტომ ახლა ჩვენ ჩვენი პირადი ტანჯვა გულში უნდა ჩავიკლათ, რომ მხოლოდ ერთადერთი უბედურება — ჩვენი მშობელი ხალხის უბედურება გვიშხამავდეს სიცოცხლეს... რაც მალე მოვერევით საკუთარ ტარდსა და საღონებელს, ჩვენი ძალა უფრო გამრავლდება, მტრის განადგურების საათი მალე დაჰკრავს!..

ლევანი—ყველაფერს მოვერევი, ამხანაგო სერგეი, მაგრამ ერთი შავი ფიქრი არ მაძლევს მოსვენებას, მტერმა თქვენს კვალს მიაგნო... ყოველ წუთს, ყოველ საათს!.. დღეს არა—ხვალ, მოსალოდნელია აქაც გაჩნდნენ...

სერგეი—(მშვიდად) შეიძლება ასეც მოხდეს!

ლევანი—ჰოდა, მერე?!

სერგეი—მერე-და, ძვირად გავყიდი ჩემს სიცოცხლეს, როგორც გითხარი, სიკვდილი ძნელი საქმე როდია!

ლევანი—მეც სწორედ მაგისა მეშინიან... თქვენი სიცოცხლე ხალხისათვის საჭიროა, მაგრამ ყველაზე მეტად მე მჭირდება, ამხანაგო სერგეი! თქვენ რომ დაიღუპოთ, მაშინ მე?! შერცხვენილი სახელით ჩავიდე საფლავში? ჩემს ამბავს ვინ-ღა იტყვის? რას იტყვის ქვეყანა? ის რას იტყვის, ის—ყველაზე დიდი ადამიანი, ვინც თავის ჭაბუკობაშივე ჩემი თაობის კაცს მარტო ხალხის სიყვარული ასწავლა?!

სერგეი—მძიმე ტვირთი დაგაკისრე. ამხანაგო ლევან, მაგრამ სტალინის პარტიამ კაცის დაფასება იცის! შენს სიცოცხლესა და სახელს ასე იოლად ვერავინ მოეკიდება... თუ სიკვდილი მოვიდა, მეც შენს გვერდით ვიქნები. ჩვენ ორივენი ერთად დავიხოცებით!.. მაგრამ, ამხანაგო, ლევან... მთელი სტანიცა იღუპება, მათ ასე, ბედის ამარა ვერ დავაგდებთ, ვერცერთ ჩვენი ადამიანის სიცოცხლეს მტერს ადვილად ვერ დავანებებთ!.. (დაფიქრდა, გაიარა) გერმანელებს სადგურში რამდენი ჯარისკაცი ჰყავთ?

ლევანი—ამჟამად მხოლოდ ორმოცი კაცი, ერთი ოფიცერი და ერთიც თვითონ მაიორი!

სერგეი—შეიარაღება?

ლევანი—ერთი ის ჯავშნიანი დრეზინა, მე რომ გადავარჩინე... ორი დაზგის ტყვიამფრქვევი. დანარჩენი ხელის იარაღი.

სერგეი—არც ისე მცირეა... იცი, რა გახარო, ამხანაგო ლევან?.. აი ახლა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრი მელაპარაკა!

ლევანი—(გაოცებული) რას ამბობთ? საიდან?

სერგეი—კავკავიდან.

ლევანი—ისევ აქ არის?

სერგეი—აქ არის და ვინ იცის, ახლა კიდევ რამდენ ჩემისთანას ელაპარაკება. რაც მისი მადლიანი ხელი აქ, კავკასიონის მთებში დატრიალდა, ჩვენს გულსაც, ჩვენს იარაღსაც ძალა მიეცა.. და აი, შედეგიც — (ხმადაბლა) ხვალ განთიადისას ჩვენი ჯარი შეტევაზე გადადის. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრმა ასეთი დავალე-

ბა მომცა: ჩრდილოეთის ჯგუფმა, ესე იგი ჩვენი უბნის პარტიზანებმა, გერმანელებს უკანდასახევი გზები მოუშალონ და სადგურის ხიდი ხელთ იგდონ, ვიდრე მტერი აფეთქებას მოასწრებდეს...

ლევანი—მაშ, ხვალ იწყება, ამხანაგო სერგეი?!

სერგეი—ხვალ, ამხანაგო ლევან, და მეც დღესვე, შუადღემდე უნდა გავიდე აქედან.

ლევანი—კი მაგრამ, მარტოს ვერ გაგიშვებთ!

სერგეი—შენზე უკეთესი მეგზური რად მინდა?

ლევანი—მე? ვერა... მე ვერ წამოვალ, ამხანაგო სერგეი!

სერგეი—როგორ თუ ვერ წამოხვალ?

ლევანი—ჩემი წასვლა არ იქნება... (ყოყმანის შემდეგ) მამა ვარ... ვერ დავტოვებ...

სერგეი—(გაოცებული) რა მოხდა?

ლევანი—წუხელ ვერ გითხარით... საზრუნავი და სამწუხარი ისეც არ გაკლიათ!..

სერგეი—მე მოვალე ვარ,—ყველაფერი ვიცოდე... რა მოხდა?

ლევანი—გუშინღამ კუზმიჩის შვილი მოჰკლეს, ჩემი ქალიშვილი დაატყვევეს...

სერგეი—(გაოცებული) ისინი... ორივენი აკი ტყეში იყვნენ?

ლევანი—დიახ, ტყეში იყვნენ... როგორც ეტყობა, ჩემი ამბავი იქაც მისულა... ჯერ ისევ ბავშვია, ჩემს ქალს, ალბათ, გულმა ვერ გაუძლო... ის უბედურიც თან გამოჰყოლია!..

სერგეი—მერე... მერე?

ლევანი—თოფი რომ გავარდა, დიდი ხანი არ გასულა—მაიორმა გამომიძახა... შეველ და—ვაი იმ შესვლას!.. ეს ვინ არისო, მაშინვე მომახალა... მივიხედე და—კინაღამ გული შემიწუხდა... თავი შევიმაგრე, ჩემი შვილია-მეთქი, აბა, რა უნდა მეთქვა? ყველაფერი იღუპებოდა... თქვენც, მეც, ყველაფერი... თვალებდაჭყეტილი მხეცი ახლა ჩემს ქალს მივარდა: მაშ, ეს მამაშენი არისო? სანამ სამშობლოს გაჰყიდდა, მამაჩემი იყო, ახლა მე მამა აღარა მყავსო—ასე უპასუხა!.. ნეტავ ამ გულში ხანჯალი დაეკრათ და ეს არ გამეგონა... გაავებული გერმანელი მაშინვე გამომესარჩლა... ვის ეძახი მოღალატესო? და საწყალ ბავშვს სილა გააწნა... (ხმა აუთრთოლდა) ერთი პაპიროსი!.. (სერგეიმ პაპიროსი მისცა, ცეცხლი მიაშველა) თუ კარგი კაცი ხარ, შენ შვილს იმათთან რა უნდოდაო?—ისევ მე შემომიტია. ფანჯარაში ვაჩვენე: ბატონო, აი ამ ხეს ხომ ხედავთ? თვითონ პირდაპირ იზრდება, ტოტები კი აქეთ-იქით მიდიან-მეთქი! მაგ ხეს ძირიანად ამოვიღებთო—შემიყვირა და გარეთ გამაგდო...

სერგეი—მერე და აქამდის რატომ არ მითხარ?

ლევანი—თქვენთან როგორ მოვიდოდი? თითო გერმანელს ათი თვალი გაუხდა... (პაუზა) მერე რა ჰკითხეს, ან რა უპასუხა,—არაფერი ვიცი... მაიორი გარეთ რომ გამოვიდა, გველის წიწილა გაგიზრდია, შვილი კი არაო—ასე მითხრა... საწყალი გოგო, მთელ ღამეს კვნესოდა. რაღაცას ბოდავდა... ვეღარ დავხატავო, ვეღარასოდეს ვერ დავხატავო, ასე გაიძახოდა... რა ეჩვენებოდა... ან ვისა ხატავდა ვერაფერი გავიგე... (პაუზა) გვიან ღამით წყალი ითხოვა, დიდხანს არ მისცეს... მერე მაიორმა წყალი მე შემატანინა, ალბათ, იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ გამოეცადა ჩვენი მამაშვილობა. წყურვილი აღრჩობდა... სიბნელეში პირველად ვერ მიცნო; ჭიქა მივაწოდე, დალიე-მეთქი, ჩემი ხმა გაიგო თუ არა—ჭიქა იატაკს დაანარცხა: შენი მოწოდებული წყალი საწამლავზე მწარეაო, მერე ტახტზე დაემხო და აქვითინდა. (ხმა ჩაუწყდა. სერგეის სახე მოარიდა, პაპიროსის კვამლი ღრმად შეისუნთქა და ნამწვი გახზე გაღისროლა) გული ჩამწყდა, სერგეი პეტროვიჩ!.. სუნთქვა შემეკრა... ტვინი თითქოს ცხელმა ლურსმანმა გამიბურღა... არ მახსოვს, როგორ გამომიყვანეს... (პაუზა) ახლა კიდევ იმ ვიღაც მამაცხონებულმა ქვა დამთხლიშა და, გერმანელებისათვის ისევ სანდო კაცი გავხდი... (ღუმილი ჩამოვარდა)

სერგეი—ამხანაგო ლევან, კაცს დამწვარ ხელზე წყალი რომ დაასხა, უფრო დაეწვება, ამიტომ მეც არაფერს გეტყვი... ცოტახანს კიდევ გაუძელ, მალე შენს ტანჯვასაც ბოლო მოეღება. (გარეკან ჩქამი მოისმა, ლევანი უმალვე სამზირთან გაჩნდა)

ლ ე ვ ა ნ ი — (შეშფოთებული) ამხანაგო სერგეი, ჩქარა... თივაში! იმ ბიჭს გერმანელი მოსდევს, ვაი თუ აქ შემოვიდეს... (სერგეიმ რევოლვერი ამოიღო) არა, არავითარ შემთხვევაში! სადგური აქვეა, ხმას გაიგებენ...

(შუაცეცხლში შეკეთებულ კეტს ხელი დაავლო, შემოსასვლელისაკენ გაემართა. პავლიკა გამოქვაბულში შემოვარდა, მას არც კი შეუნიშნავს ლევანი, რომელიც იქვე კედელთან აიტუზა. გერმანელმა ჯიბის სანათური შემოანათა და ფრთხილად შემოვიდა. ლევანმა უმალვე კეტი დაჭერა თავში. ლეიტენანტი უხმოდ ჩაიკეცა.)

ს ე რ გ ე ი — ეყოფა?

ლ ე ვ ა ნ ი — მეტი აღარაფერი უნდა!

პ ა ვ ლ ი კ ა — (გაოცებული მისჩერებია სერგეის) სერგეი პეტროვიჩ!

ს ე რ გ ე ი — (მასთან მივიდა) აქ რამ მოგიყვანა, ბიჭიკო?

პ ა ვ ლ ი კ ა — ხუთი დღეა კვალდაკვალ დამდევს. სოფელში შეველ სოფელში შემომყვა, ნახირში წაველ — ნახირში დამხვდა, ტყეში გამოვიქეცი — აქაც არ დამეხსნა... ვიფიქრე, გამოქვაბულში დავიმალები მეთქი...

(ლევანი მხოლოდ ახლა დაინახა, შეკრთა, სერგეის მიეკრა)

ს ე რ გ ე ი — (მხარზე ხელი მოხვია) შენ ეს მითხარი, ის ზონარი ვინ მოგცა, იმ დღეს რომ გიპოვეს?

პ ა ვ ლ ი კ ა — (ჯერ სერგეის შეხედა, მერე ლევანს, შეეოუმანდა) ის არავის მოუცია, გზაზე ვიპოვნე!

ს ე რ გ ე ი — მე ხომ მიცნობ, ვინცა ვარ?

პ ა ვ ლ ი კ ა — რატომაც არ გიცნობ?!

ს ე რ გ ე ი — ჰო-და, მითხარი, ვინ მოგცა?

პ ა ვ ლ ი კ ა — (ლევანს ცერად გახედა) არავინ... გზაზე ვიპოვნე!..

ს ე რ გ ე ი — (ქოჩორზე ხელი გადაუსვა) ძალიან შეუპოვარი ბიჭი ყოფილხარ! (ლევანი გახზე გაიყვანა) მაშ, შენი გადაწყვეტილება უცვლელია ამხანაგო ლევან?

ლ ე ვ ა ნ ი — უნდა დავრჩე... იქ უჩემობა არაფერში დაგეტყობათ, აქ კი — უჩემობა არ იქნება... აქამდის მე თვითონ არ ვიცოდი, რა მექნა, ვისთვის მიმენდო თქვენი თავი!.. ამ ახალმა შემთხვევამ შესანიშნავი მეგზურიც გვაშოვნინა, ამ ბიჭს სხვა ვერავინ აჯობებდა...

ს ე რ გ ე ი — მხოლოდ ერთი პირობით, ლევან!.. იმ ოცი კაცის სიკვდილი უნდა გადაადებინო ხვალამდე... ამიტომ მანამდე შენ კიდევ უნდა ატარო შენი მძიმე უღელი...

ლ ე ვ ა ნ ი — რაც მევალება, ყველაფერს გავაკეთებ! ახლა კი წავალ, ტანსაცმელს მოგიტანთ, იქნებ ცხენიც ვიშოვნო, თორემ ეს ფეხი შორს ვერ წაგიყვანთ... (ბიჭს) შენ, პატარა ვაჟკაცო, გამოქვაბულიდან ფეხი არ გამოსდგა, გესმის?!

ს ე რ გ ე ი — (უკან მიაძახა) ამხანაგო ლევან, გახსოვდეს — ხვალამდე!

ლ ე ვ ა ნ ი — ხვალამდე... (გავიდა)

პ ა ვ ლ ი კ ა — სერგეი პეტროვიჩ! ეგ ძალიან ცუდი კაცია, წავიდეთ აქედან!

ს ე რ გ ე ი — (გაეღიმა) შენ რა იცი, რომ ცუდი კაცია?

პ ა ვ ლ ი კ ა — (აჩქარებს) ვიცი, ნამდვილად ვიცი... წავიდეთ...

ს ე რ გ ე ი — მოიცა! შენ ჯერ ეს მითხარი ის ზონარი ვინ მოგცა, გერმანელებმა რომ გიპოვეს?

პ ა ვ ლ ი კ ა — (აქეთ-იქით მიიხედა) კუზმიჩმა. ასე მითხრა, არავისთან წამოგცდეს, არც მტერთან, არც მოკეთესთან — ეს ღალატი იქნებაო!..

ს ე რ გ ე ი — მაშ, თვითონ კუზმიჩს მოუცია!

პ ა ვ ლ ი კ ა — დიახ... იმასთან... სადგურის უფროსთან არ მინდოდა მეთქვა... წავიდეთ, ძალიან ცუდი კაცია. ჩემი თუ არ გჯერათ, ხალხსა ჰკითხეთ... ვისაც გინდა, ჰკითხეთ!..

ს ე რ გ ე ი — კუზმიჩმა? (თავისთვის) ტყუილად როდი მითხრეს, გულჩქარი კაციაო! (პავლიკას დაუცქერდა) ბიჭიკო, შენ მამა გყავს?

პ ა ვ ლ ი კ ა — არა, არა მყავს...

ს ე რ გ ე ი — (ხელი მოხვია) მოდი ჩემთან! მეც აღარ მყავს შვილი..

ფ ა რ დ ა

მეორე სურათი

ლევანი ნელი ნაბიჯით მიდის ტყეში გამოქვაბულის მახლობლად.

ტ ყ ი ს ხ მ ა — იიუუდაააა... (მოისმა გაბმით, თითქოს თვითონ ტყე იძახდა)

ლ ე ვ ა ნ ი—(ერთბაშად შესდგა, სმენად იქცა, თავისთვის ჩაილაპარაკა) გესმის?.. შენ გეძახიან, ლევან!

ტ ყ ი ს ხ მ ა—იუდაა...

ლ ე ვ ა ნ ი— (ადგილი გადაინაცვლა, ხან ერთ ხეს მიჩერდა, ხან მეორეს... ისე, როგორც დაკოდილი ფოცხვერი ნახტომისათვის მოემზადება) კაცი არა ხარ?.. უპასუხე, ლევან! (სმენად იქცა)

ტ ყ ი ს ხ მ ა—(პაუზის შემდეგ) იიუუდაა...

ლ ე ვ ა ნ ი—(ირგვლივ შემოტრიალდა. კვლავ ვერავინ დაინახა, ამოიგმინა, გადაჭრილ ხეზე შეხტა და რაც კი ხმა ჰქონდა, ტყეს გახმახა) ღვთის რისხვაა!

ტ ყ ი ს ხ მ ა—დიახ! ღვთის რისხვაა!.. (თოფმომარჯვებული კუზმიჩი თავს წამოადგა) ხელები მაღლა!..

ლ ე ვ ა ნ ი—(თითქოს დამშვიდდა. ხელიც არ შეურხევია) კუზმიჩ, შენა? ჩემი ხელები შენ რას გიშლის? ნუ გეშინია, იარაღი არა მაქვს...

კ უ ზ მ ი ჩ ი—სამი დღეა და სამი ღამე ჩემმა თვალმა ძილი არ იცის, ჩემმა მუხლმა მოსვენება... როგორც მონადირე ნადირის ნაკვალევს დაეძებს, მეც ისე დავეძებ შენს კვალს... და აი, ძლივს მოგხელე. რომ ხალხის განაჩენი სისრულეში მოვიყვანო!.. (ლევანი უძრავად დგას თვალს არ აშორებს) არ გესმის? შებრუნდი მეთქი!

ლ ე ვ ა ნ ი—რატომ უნდა შევბრუნდე, კუზმიჩ?

კ უ ზ მ ი ჩ ი—მაგ თვალებში ბევრჯერ მიკოცნია და ახლა არ მინდა ვუცქირო... შებრუნდი და მოისმინე ხალხის განაჩენი!..

ლ ე ვ ა ნ ი—მაშ, ჯერ მე მომისმინე!

კ უ ზ მ ი ჩ ი—შენს მაგიერ პატიოსანი კაცი აღარაფერს იტყოდა, მაგრამ თუ კიდევ გეთქმის რამე, მაგის დროც გექნება... შებრუნდი-მეთქი!

ლ ე ვ ა ნ ი—(წარბშეუხრელად მიჩერებია) მაგას ვერ ვიზამ, კუზმიჩ! არც მტერთან, არც მოკეთესთან ზურგშექცეულს არასოდეს ძილაპარაკნია... და რაც შენთვის ჯერ კიდევ უთქმელი დამრჩა, მინდა სახეში გიცქირო და ისე გითხრა...

კ უ ზ მ ი ჩ ი — შენთვის უარესი... მაშინ ჩემი სიტყვა ძალიან მოკლე იქნება...

ლ ე ვ ა ნ ი—მეც ეს მირჩევნია...

კ უ ზ მ ი ჩ ი — გირჩევნია და გიცხადებ... შენ უნდა მოკვდე! ჩემმა სინიდისმა და ჩემმა კეთილმა გულმა ეს კანონი დაგიწერა... სიკვდილი დაგიწერა, რადგან ჩემი შვილის სული არ მასვენებს... დღისით გზაში მხვდება, ღამით არ მაძინებს... ცას შევხედავ—ციდან მეუბნება, წყალს დავეწაფები — წყლიდან იხედება... თუმცა ჩემი შვილი შენ რაში გენაღვლება, როდესაც საკუთარი შვილიც არ დაინდე... საწყალი ბალღი შენს ბატონებს მიუგდე სათრევლად, რომ ეგ შერცხვენილი სიცოცხლე მტრის მონურ სამსახურში დალიო... დამშეულმა ტურამაც ასე იცის—თავის ლეკვებს თითონვე დასჭამს ხოლმე.

ლ ე ვ ა ნ ი—(გულზე მოეკიდა) ჩემს შვილს დაეხსენი, კუზმიჩ!

კ უ ზ მ ი ჩ ი—შენს შვილს მამა რომ ჰყოლოდა, მე კაცისმკვლელი არ გავხდებოდი! ქვეყანაზე ჭიანჭველას საცხოვრებლად რაც ეყოფა—იმას ვიმყოფინებდი, ოღონდ ამ ქვეყნიდან უსისხლოდ წავსულიყავი!.. ახლა კი მე თვითონ მეჩქარება,—მეშინია,—სხვამ არ დამასწროს... მეჩქარება იმიტომ, რომ კაცი მეგონე და არაკაცი ყოფილხარ! თუ ადამიანის ნაშობი არ იყავ, ჩემს ოჯახში რა გინდოდა?.. შენს სუფრაზე ლუკმა რად გამატეხინე? (ოფლი შეიწმინდა) ეს მიწა განა თავიდანვე მიწა იყო? ჩემი მამა-პაპის ძვლებმა აქციეს იგი მიწად... შენ კი ეს მიწა გამიყიდე, რომ საფლავიც ვეღარ ვიშოვნო!.. ეს ტყე განა თავიდანვე ტყე იყო? აი ეს ხე (ხეზე აჩვენა) შვილივით გამიზრდია. შენ კი ცივი ხელით მოსჭერ, რომ მტრის ბუხარში ცეცხლი არ გაანელო... შე არაკაცო!.. შვილი მყავდა და შვილი მომიკალი... შვილი გყავდა და—შვილი გასწირე... ახლა ამ უენო ტყისა და მიწის სახელით, იმ ოცი წლის მძევლის სახელით, რომლებიც დღეს სახრჩობელაზე უნდა აიყვანონ, ჩემი დაღუპული შვილისა და შენი შვილის სახელითაც, გიცხადებ ამ განაჩენს... შენ უნდა მოკვდე!

ლ ე ვ ა ნ ი — მომკალი, კუზმიჩ... მაგრამ სერგეი პეტროვიჩს ჩემს მაგიერ შენ უპატრონე...

კ უ ზ მ ი ჩ ი—რაო?!

ლ ე ვ ა ნ ი—რამდენადაც შენ შემიძულე, იმდენად მე შემიყვარდი, კუზმიჩ!.. ვხედავდი, გძულდი, მაგრამ მტრისადმი მხოლოდ სიძულვილი როდი კმარა!.. ვიდრე მართალმა შურისძიებამ თოფი არ აგაღებინა, მანამდე არ შემეძლო ეს საიდუმლო შენთვის მეთქვა—სერგეი პეტროვიჩი აქ არის!..

კ უ ზ მ ი ჩ ი — რა საცოდავი ხარ!.. შენმა ახალმა ბატონებმა ესეც გასწავლეს?! ამ სიცრუით გინდა ლაფდასხმული სიცოცხლე გაიგრძელო?.. საზიზღარო! (უკან დაიხია, ჩახმახი შეაუნა) სთქვი შენი უკანასკნელი სიტყვა!

ხ მ ა ტ ყ ი დ ა ნ—უკანასკნელი სიტყვა,—ჩემია!

(სერგეი პეტროვიჩი თავს წაადგათ, კუზმიჩი გაშტერდა, პავლიკ შორი-ახლო ხესთან აიტუზა)

ს ე რ გ ე ი—კუზმიჩ, ვერ მიცან?

კ უ ზ მ ი ჩ ი—(გაოგნებული) სერგეი პეტროვიჩ!

(ჯერ სერგეის შეხედა, მერე ლევანს დააცქერდა, ყველაფერს მიხვდა, თითქოს სიზმარში იყო და გაიღვიძა, თოფი განზე გადაგდო, ლევანისაკენ გაქანდა) უბედურებამ დამაბრმავა... მაპატიე. . მეგობარო ლევან! (გადაეხვია)

ფ ა რ დ ა

მოქმედება მეოთხე

პირველი სურათი

მოედანი შუა სტანიცაში. სიგრძეზე ჩამწკრივებული თეთრად-შელესილი ქოხები. სილრმეში შავი ჩრდილის მსგავსად ამართული სახრჩობელა. წინ, შუა მოედანზე, შენობა, რომელსაც კიდევ შერჩენია წარწერა „ქოხ-სამკითხველო“. ყველა შენობის დარაბა მიკეტილია, თითქოს მთელი სტანიცა აყრილიყოს. ფარდის ახდისას უკაცურ მოედანს ფანდურის ხმა და მეფანდურის ნაცნობი სიმღერა უახლოვდება. ლიზას კალთაზე ხელწავლებული მეფანდურე ქუჩაზე მოჭყავს.

მ ე ფ ა ნ დ უ რ ე—

ბრმა ვარ და უსინათლო,
მზის ნაცვლად ბნელეთს ვხედავ...
სად ხარ, გამოჩნდი ცაზე,
მზეო, სინათლის დედავ!

პ ე ლ ა გ ი ა—(ფანჯრის დარაბა გააღო, მოხუცს გასძახა) ხმამაღლა, ბაბუა, პანტელეი! ხმამაღლა, რომ ხალხს გულზე ჭვალივით მოეკიდოს!.. (დარაბა მიიხურა)

მ ე ფ ა ნ დ უ რ ე—(ხმა აიმაღლა)

ყრუ ვარ და გოდება მესმის,
ხალხი რად ოხრავს ნეტავ!
ხალხი დაიხსენ, ხალხი,
მზეო სინათლის დედავ!

(ლიზამ მოხუცი ლოდზე ჩამოსვა და მოჭკურცხლა)

ცაში ღამეა შავი,
გზებზეც ყორნები სხედან...
მალე დაბრუნდი ცაზე,
მზეო სინათლის დედავ!..

(სცენაზე მარტო მეფანდურე დარჩა, მეორე ქუჩაზე მისკენ მომავალი ლევანი გამოჩნდა. იგი მოხუცს მიუახლოვდა)

ლ ე ვ ა ნ ი — ბატონო მაიორო, დილასაც მოგახსენეთ, წეღანაც... რუს კაცთან ჩხუბს, ტკბილად ლაპარაკი სჯობია... ხვალამდე დავიცადოთ, იქნებ, ასე უფრო გამოვტყუოთ რამე, თორემ ხალხი რომ გამწარდება, აღარაფერს იტყვის...

მ ა ი ო რ ი — სულ ხვალე და ხვალე!.. არავითარი ხვალე!.. მორგენ, მორგენ ნურ ნიხტ ჰოიტე, ზაგენ ალლე ფაულე ლოიტე! (ისევ საათს ადახედა, ხალხს თვალი გადაავლო) ჩემმა საათმა თავისი მოვალეობა შეასრულა, სწორედ ხუთია! ახლა სახრჩობელა შეასრულებს თავის მოვალეობას... (ხალხმა პელაგიას გადახედა. პელაგია სდუმს, ხალხიც არ იღებს ხმას) კიდევ არ იტყვით?!

ლ ე ვ ა ნ ი — (წინ წამოდგა) ბატონო მაიორო, ხალხი პირობას იძლევა — თუ ხვალამდე დააცდით, თავისი ხელით ჩაგაბარებენ!

პ ე ლ ა გ ი ა — (მხრები არწივივით აზიდა, ლევანს მრისხანე თვალები შეანათა) ცრუობს!.. მაგას ხალხის სახელით ლაპარაკის უფლება ვინ მისცა? (მაიორს) ჩვენ არ ვიცით, სად არის რაიკომის მდივანი და კიდეც რომ ვიცოდეთ, შვილი რომელ დედას გაუცია...

მ ა ი ო რ ი — (ნაძალადევი სიმშვიდით) მაშ, ასე?! (ეფრეიტორს) კუნც, ახლავე... ყველა ოცი მძევალი სახრჩობელაზე!..

კ უ ნ ც ი — ცხრამეტია, ბატონო მაიორო!

მ ა ი ო რ ი — მეოცე?

კ უ ნ ც ი — წუხელ დაკითხვის დროს შემოაკვდათ!

მ ა ი ო რ ი — (პელაგიას გადახედა) მაშინ მეოცე ეს დედაბერი იქნება!

ლ ე ვ ა ნ ი — ბატონო მაიორო, ეს დედაბერი ჩვენი წამალია... (ნახევრად ჩურჩულით) რაც პირზე მოადგება, ყველაფერს როშავს... უმაგისოდ ხალხისას ველარაფერს გავიგებთ!

მ ა ი ო რ ი — ჭკვიანი კაცი ხარ... მაშინ... (დაფიქრდა) ერთი თოკი რომ უსაქმოდ არ დაგვრჩეს, გერმანელებს ზუსტი ანგარიში გვიყვარს... მეოცე შენი ქალიშვილი იქნება!.. (ლევანს გადახედა) შენ აკი გუშინ მითხარ, ასეთი შვილის მამობა ძნელიაო!..

ლ ე ვ ა ნ ი — (შეკრთა, შუბლზე ხელი გადაისვა, თითქოს არ სჯერა, მაიორს დაცქერდა) ბატონო მაიორო!

მ ა ი ო რ ი — (გაწყვეტინა) ამის შემდეგ ჩვენი მეგობრობა კიდევ უფრო საიმედო გახდება...

ლ ე ვ ა ნ ი — (მღელვარება ერევა, მაიორს ველრებით შესცქერის) ბატონო მაიორო...

მ ა ი ო რ ი — (ვითომ არც კი გაუგონია) ეფრეიტორ კუნც, შეუდექით!

კ უ ნ ც ი — მესმის, ბატონო მაიორო! (გატრიალდა).

ა ხ მ ა ხ ი გ ე რ მ ა ნ ე ლ ი — (მაიორს წარუდგა) ბატონო მაიორო, ლეიტენანტი კრანცი მოუკლავთ!

მ ა ი ო რ ი — მოუკლავთ?! ვის მოუკლავს? სად მოუკლავთ?

ა ხ მ ა ხ ი გ ე რ მ ა ნ ე ლ ი — აქვე, სადგურთან, გამოქვაბულში... თავი გაუჩეხიათ!..

მ ა ი ო რ ი — დააბრუნეთ ეფრეიტორი! (ერთ-ერთი ჯარისკაცი გაეკიდა, მეორე ჯარისკაცს ხალხზე მიუთითა) თუ ფეხი მოიცვალა ვინმემ, — მაშინვე ტყვია!.. (ჯარისკაცები ხალხს ირგვლივ შემოერტყნენ. მაიორმა ქალებს სათითაოდ ჩამოუარა, პელაგიასთან შესდგა, თვალებში ჩაცქერდა) სტანიცაში თქვენს მეტი არავინ არის... უცხო კაცს აქ ფეხი არ დაუდგამს... ლეიტენანტი კრანცი ვინ მოჰკლა? (პელაგია სდუმს, ხალხიც არ იღებს ხმას. ცეცხლმოკიდებულმა მაიორმა პელაგიას თავსახვევი მოგლიჯა) ან ახლავე მეტყვი, ან ახლავე... (ბრაზისგან ენა დაება) ვინ მოჰკლა მეთქი?

პ ე ლ ა გ ი ა — (წარბშეუხრელად) თუ ჩვენი ამოწყვეტა გინდათ, ამ ცოდვას რაღაზე გვაბრალებთ? ღმერთმა ისიც დასწყევლა, იმისი კვალის მძებნელიც.

მ ა ი ო რ ი — (მოთმინებადაკარგული) ეფრეიტორ კუნც, დღეიდან სოფელი არლოვკა აღარ არსებობს. ცეცხლი წაუკიდეთ, სწრაფად!..

ლ ე ვ ა ნ ი — (წინ წამოდგა) მოიცადეთ! ხალხი არაფერ შუაშია... (მაიორი მისკენ შეტრიალდა) ლეიტენანტი კრანცი მე მოვკალი! (ხალხი შეირხა, პელაგია გაოცებული მიხჩერებია)

მ ა ი ო რ ი — (ლევანს დაცქერდა, ტუჩებმა ბოროტად დაუწყეს თრთოლვა, მას არ უნდა დაიჯეროს, რომ ასე მოტყუვდა, მაგრამ ლევანი პირდაპირ, მოურიდებლად, როგორც დამარცხებულს გამარჯვებული, მიხჩერებია) შენ დღეს შეშლილსა ჰგევხარ!..

ლ ე ვ ა ნ ი—(დამშვიდებული) ნუ ცხარობ, ბატონო მაიორო! შენ ჯილდოს ელოდი და, წარჩინების მაგიერ, მაგ ჯვარ-მედალსაც აგყრიან რადგან შენმა ნაქებმა გერმანულმა ანგარიშმა ასე სულელურად მოგატყუა!..

მ ა ი ო რ ი—(სახე ბრაზისგან ადაღრიჯა, ლევანს მივარდა) სცრუობ... მიჰქარავ!..

ლ ე ვ ა ნ ი—არა გჯერა? იქ, სადაც თქვენი კრანცი გდია, თივაში რაიკომის მდივნის ტანსაცმელია დამალული, ჯერ-ჯერობით ეს გეყოფათ საბუთად!..

მ ა ი ო რ ი—(სულსწრაფად) თვითონ სადღა არის?

ლ ე ვ ა ნ ი—(უფრო მშვიდათ) იქ არის, სადაც უნდა იყოს!

მ ა ი ო რ ი—სად არის-მეთქი?

ლ ე ვ ა ნ ი—(დამცინავად) თქვენ ძალიან ჩქარობთ... მეტი ხვეწნა დაგჭირდებათ!

მ ა ი ო რ ი—იტყვი, არამზადავ! (რევოლვერი მკერდზე დააბჯინა)

ლ ე ვ ა ნ ი—ფრთხილად, ბატონო მაიორო, არ გაგივარდეს, თორემ ჩემს მეტმა მისი ადგილსამყოფელი არავინ იცის!

მ ა ი ო რ ი—ეფრეიტორ კუნც! წელანდელ ბრძანებას ვაუქმებ... ეს წამოიყვანეთ! მაგის ენის გასაღებს იქ ვიშოვნი!.. (ხალხს) დაიშალენით! (წავიდა, ჯარისკაცებით გარშემორტყმული ლევანი მიჰყავთ, გაოგნებული ხალხი მის გზას მისჩერებია)

მ ე ფ ა ნ დ უ რ ე—ღვთისკაცი იყო მეთქი, ხომ გითხარ, პელაგია! (სიმებს ხელი შეახო)

პ ე ლ ა გ ი ა—(მწუხარედ) რატომ მაშინვე ხელები არ შემახმა, როდესაც ქვა გესროლე... (შეწუხებული ლოდზე დაეშვა)

ფ ა რ დ ა

მეორე სურათი

საბგურის მაღალფანჯრებიანი ოთახი. ერთ მხარეს, კუთხეში—სელექტორი, საკვერთხე აპარატი, ტელეგრაფი; მეორე—მხარეს, დიდი საათი, საგზაო გამაფრთხილებელი ფერადი ნიშნები და საისრე გასაღებების თარო. მის წინ სამუშაო მაგიდა. გვერდით რბილი ტახტი. ტახტის თავზე რადიო-მიმღები. შემოსასვლელში ავტომატიანი ჯარისკაცი მანეკინივით დგას.

მ ა ი ო რ ი—(მაგიდას უზის, წინ ეფრეიტორი კუნცი დგას) მერე?

კ უ ნ ც ი—ქალი დიდხანს ტიროდა... მამავ, მაპატიეო, ეხვეოდა, ჰკოცნიდა... ასე ჩურჩულებდნენ დიდხანს... მერე, ის კაცი შევგზავნე თუ არა, ორივენი თითქოს დამუნჯდნენ, ხმა აღარ ამოუღიათ...

მ ა ი ო რ ი—ხედავ? როგორი ქვემძრომი ყოფილა! ჩვენ კი არა, თავის ქალიშვილსაც დაუმალა... (წამოდგა) წადი, ფხიზლად! ხომ ხედავ, რა ქვეყანაში მოვხვდით! გუშაგები მალი-მალ შეამოწმე!..

კ უ ნ ც ი—მესმის, ფხიზლად, ბატონო მაიორო!.. (გავიდა. მაიორი აჩქარებულ ბოლთას სცემს, პაპიროსს აბოლებს. მეორე ოთახიდან საკინძგახსნილი, მკლავებდაკაპიწებული ახმახი გერმანელი შემოვიდა)

მ ა ი ო რ ი—კიდევ არაფერი?

ა ხ მ ა ხ ი გ ე რ მ ა ნ ე ლ ი—ხელები მეტკინა, ბატონო მაიორო, პირველი, მეორე, მესამე ნომრები ზედიზედ გავუკეთე და მაინც არაფერს ამბობს!

მ ა ი ო რ ი—არ შემოგაკვდეს.

ა ხ მ ა ხ ი გ ე რ მ ა ნ ე ლ ი—მაშინ, შევასვენოთ, ბატონო მაიორო!

მ ა ი ო რ ი—საცაა გათენდება, შესვენების დრო არა გვაქვს!

ა ხ მ ა ხ ი გ ე რ მ ა ნ ე ლ ი—თუ ასეა, ნება მომეცით, პირდაპირ მეექვსე ნომერზე გადავიდე!

მ ა ი ო რ ი—რომ ვერ გადაიტანოს? (დაფიქრდა) მოიცა... არაყი მიეცით გასამაგრებლად!

ა ხ მ ა ხ ი გ ე რ მ ა ნ ე ლ ი—ვცადეთ, არ გაიკარა! წავაქციეთ, პირში ჩავასხით, მაინც გადმოღვარა!.. ბატონო მაიორო, მოდი ქალიშვილზე ვცადოთ, ან ის ვერ გაუძლებს, ან მამა ვერ აიტანს შვილის წამებას.

მ ა ი ო რ ი—არა!.. ქალიშვილს რომ რაიმე სცოდნოდა, მამა მოღალატე არ ეგონებოდა... (ბოლთა განაგრძო, იმავ შედგა) შემომიყვანე ქალი. (გერმანელმა მარინე შემოიყვანა მაიორმა ნაძალადევი თავაზიანობით სკამი შეაგება) დაჯექი, ქალო იმ დღეს გაწყენინე, მაგრამ... შენი ბრალია, მამას შეურაცხოფა მიაყენე!.. დაჯექი. (მარინეს თითქოს არ ესმის) შენ ეს მითხარი, სიცოცხლე გინდა? თავისუფლება გი-

ნდა? (მარინე მაიორს პირდაპირ მისჩერებია, მაგრამ ისე, თითქოს არც ხედავს, არც არაფერი ესმის) შენ ჭკვიანი ქალი ხარ... აი ახლა მამაშენთან დაგტოვებ, თუ შენი სიცოცხლე უნდა, სთქვას, სადა ჰყავს ის კაცი დამალული...

მ ა რ ი ნ ე—მამაჩემს ჩემი სიცოცხლე რომ უნდა, სწორედ ამიტომ არ იტყვის მაგას!

მ ა ი ო რ ი—(ენატკბილად) ნუ ფიცხობ, ქალო! შენ ჯერ სრულიად ახალგაზრდა ხარ, მომავალი წინა გაქვს... ვინ იცის, რამდენი ბედნიერება და სიხარული გელის!..

მ ა რ ი ნ ე—მეტი ბედნიერება და სიხარული მე აღარ მინდა... გუშინ მეგონა, მამა არა მყავდა, დღეს კი ჩემზე ბედნიერი შვილი ამ ცისქვეშ არავინ დადის!

მ ა ი ო რ ი—(ბრაზისაგან სახე დაემანჭა, მარინეს მაჯაში ჩაავლო ხელი) გველის მოდგმისავ! (ახმახ გერმანელს) მეექვსე ნომერი... ჩქარა! (გერმანელი გავიდა, მაიორმა მარინე ახლობელ ფანჯარასთან მიათრია) მაშ, უცქირე შენს ბედნიერებას (ფანჯარას ცეცხლის სინათლე მოადგა, მარინემ თვალებზე ხელები აიფარა, მაიორმა ხელები შეუბოჭა და პირით ფანჯრისკენ შეაბრუნა) აჰა, დასტკბი, თუ მეტი ბედნიერება არ გინდა!

მ ა რ ი ნ ე—(ცდილობს ფანჯარას თვალი მოარიდოს, მაგრამ ვერ ახერხებს. თითქოს მწარე ტკივილისაგან წელში მოიგრიხა, მერე ერთბაშად, ანთებული თვალები ამაყად გაუსწორა ფანჯარას) გამაგრდი, მამავ... ცოტაც და, ჩვენი ტანჯვა გათავდება... (მაგრამ სახე უცებ აერია, აუტანელ სანახაობას ვეღარ გაუძლო) ვაიმე, მამავ... (შეჰკივლა და იქვე სკამზე ჩაიკეცა)

მ ა ი ო რ ი—(ფანჯრიდან) არ შემოგაკვდეს-მეთქი!.. გამოათრიეთ აქეთ! (გონმიხდილი ლევანი ორმა გერმანელმა შემოიტანა და ტახტზე დააგდო. მაიორმა ჯარისკაცებს ნიშანი მისცა და მათთან ერთად მეორე ოთახში გავიდა)

მ ა რ ი ნ ე—(ხანგრძლივი პაუზა, თვალები მოისრისა, თითქოს გაელვიძა, ძლივს წამოდგა, ტახტზე მამას შეასწორა თვალი და მისკენ გაქანდა) მამილო... მამავ!.. (კართან ატუზული გერმანელი თვალს არ აშორებს. მარინემ იქვე სათლიდან პეშვით წყალი ასხურა მამას) მამილო, მე ვარ... მარინე...

ლ ე ვ ა ნ ი—(შეირხა, წამოიწია. მარინემ ხელი შეაშველა) შვილო... მარინე... მალე გათენდება?

მ ა რ ი ნ ე—საცაა ინათებს, მამავ!

ლ ე ვ ა ნ ი—(ტახტზე წამოჯდა) წელან არ დაგვაცალეს, შვილო... შენ რომ მიამბე, ის კაცი, ჯაშუშია... სელიმოვი კი არა, შურაევია გვარად... (ტელეფონის გაბმული ზარი, მაიორი შემოვიდა, ფურმილი აიღო)

მ ა ი ო რ ი—მაიორი ტრაუბე გისმენთ!... დიახ... დიახ... (შეშფოთება დეტყო) დიახ... არის, ბატონო პოლკოვნიკო!.. (ყურმილი ჭირვეულად დაკიდა) ეფრეიტორ კუნც! (გერმანელი შემოვიდა) მოდი აქ... (განზე გაიყვანა) ჯარისკაცებმა არაფერი შეიტყონ... რუსებმა შემოტევა დაიწყეს, დილისათვის სადგურის შენობა და ხიდი უნდა აფეთქდეს... ტრანსპორტი გამზადებული გყავდეს!

კ უ ნ ც ი—არის გამზადებული მყავდეს, ბატონო მაიორო!

მ ა ი ო რ ი—(ლევანსა და მარინეს მიუახლოვდა, მარინე კედელს აეუფა, ლევანი ძლივს წამოდგა და სკამს ხელით დაეყრდნო) ყველაფერი გათავდა... იტყვი თუ არა? (ლევანი სდუმს) არა? მაშ, მე ახლა საინტერესო წარმოდგენას გაჩვენებ... ეფრეიტორ მაკურეკ! (ახმახი გერმანელი შემოვიდა) კიდევ მოვასწრებთ... ახლავე გუშაგებს გარდა ყველა ჯარისკაცი აქ ჩაამწკრივეთ... იარაღი არ არის საჭირო!

ე ფ რ ე ი ტ ო რ ი—მესმის, ბატონო მაიორო, (გავიდა)

მ ა ი ო რ ი—(ლევანს) ოო, როგორ საინტერესო წარმოდგენას გაჩვენებ, ნამდვილი გერმანული პანტომიმა იქნება! (ჯარისკაცები ზეიზედ შემორბიან და კედლის გასწვრივ მწკრივად დგებიან. მაიორმა თითოეული ღიმილით აათვალიერა) ვნახოთ, რომელია თქვენში ყველაზე ილბლიანი... ახლა გერმანული ფანტი გავითამაშოთ... (ეფრეიტორს მუზარადი მოხადა) ყველამ თითო ტყვია ჩააგდეთ! (მწკრივს გაწვდილი მუზარადით ჩაუარა. ჯარისკაცები მუზარადში თითო ტყვიას აგდებენ მაიორმა ტყვიები შეაჩხრიალა და ეფრეიტორს გაუწოდა) ერთი ტყვია ამოიღე... ასე.. ახლა ეგ ტყვია დანიშნე, (ეფრეიტორმა დანა ამოიღო და უფროსის ბრძანება შეასრულა. მაიორმა მუზარადი ლევანს გაუწოდა) გამომართვი... (ლევანი უძრავად დგას, მაიორმა მუზარადი ხელში მიაჩეჩა) გამომართვი-მეთქი!

(ლევანმა ჩამოართვა, მაიორმა ჯარისკაცებზე მიუთითა) ვისაც დანიშნული ტყვია შეხვდება, შენი ქალიშვილი მისი იქნება! (ლევანს თვალები გაუფართოვდა, ხელი შეუტოკდა, მაიორს ზიზღით გადახედა, მარინე შეშინებული მისჩერებია მამას, ჯარისკაცებს) რაღას უდგეხართ? დაიწყეთ! (ლევანი უძრავად დგას... მას სულელური ღიმილით მიუახლოვდა პირველი ჯარისკაცი და ის იყო ხელი მუზარადისკენ წაიღო, რომ ლევანმა მუზარადი ერთბაშად მაღლა შემართა და ჯარისკაცს თავში დაჭრა. გარეთ ზეციზედ თოფი გავარდა. შეერთა) ეს რუსული თოფია.

ლ ე ვ ა ნ ი—დიახ რუსულია, ბატონო მაიორო... აჰა, თვითონ მოვიდა, ვისაც თქვენ ეძებდით!..

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი—(დაფეთებული შემოვარდა) ბატონო მაიორო... მტერმა ჯავშნოსანი ხელში ჩაიგდო. ხიდზე გუშაგები დახოცეს... სადგური გარშემორტყმულია!

მ ა ი ო რ ი—(თავგზააბნეული) ეფრეიტორ (რევოლვერი იძრო) მომყევით! (გავარდა, ჯარისკაცები გაჰყვნენ. ტყვიამფრქვევის გაბმული კაკანი გაისმა. მარინემ ფანჯარა გააღო ლევანი გაბრწყინებული სახით კედელს მიეყრდნო. ოთახში თოფმომარჯვებული შურაევი შემოიჭრა)

შ უ რ ა ე ვ ი—ბატონო მაიორო, ბატონო მაიორო... თავს უშველეთ! (ლევანს მხოლოდ ახლა შეასწრო თვალი) ოჰო, შენ ისევ ცოცხალი ხარ?

კ უ ზ მ ი ჩ ი—(იქიდანვე შემოვარდა, შურაევს უმალვე თოფი დაუმაზნა) ტყიდან გამომასწარ... ახლა სადღა წამიხვალ? (და ვიდრე შურაევის თოფი გავარდებოდა, კუზმიჩმა ესროლა, იგი მოცელილივით დაეცა)

ს ე რ გ ე ი—(შემოუძღვა პარტიზანებს. მათთან არაინ შკურატი, პავლიკა, არჩილი, არსენა, მეფანდურე, პელაგია, მაესიმე და სხვანი) ამხანაგო ლევან, შენ უსახელო სიკვდილისა გეშინოდა, სახელოვანი სიცოცხლე ამიტომ მოიპოვე! (გადაეხვია. ღია ფანჯრებში წითელი დროშების ტყე გამოჩნდა. ისმის მომავალი საბჭოთა არმიის გამარჯვების სიმღერა)

ფ ა რ დ ა

დასასრული 1947. თებერვალი